შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

# პროფესიული უნარები

თბილისი 2013

*საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.*

# შესავალი

პედაგოგთა პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სტანდარტში დეტალურადაა აღწერილი პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთაც პედაგოგი უნდა ფლობდეს.

პროფესიული უნარების ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს პედაგოგი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მოსწავლეთა სწავლით დაინტერესება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება. მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდა იმის ერთგვარი წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავებენ პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ პროფესიისათვის აუცილებელი უნარებიც; ამიტომაც პროფესიული უნარების გამოცდა სავალდებულოა ყველა საგნის მასწავლებლისთვის.

2013 წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. პროფესიული უნარების გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 11224-მა პედაგოგმა. მათგან 4190-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა, რაც გამოცდაში მონაწილეთა 37,33%-ს შეადგენს.

სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად, გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულის **„როგორ მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის -** პროფესიული უნარები“ ელექტრონულ ვერსიას. კრებულში მოცემულია 2013 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტის I ვარიანტი (დანართი №2, გვ.69), განხილულია ღიადაბოლოებიანი ტესტური დავალებები და მათი შეფასების კრიტერიუმები. ამ კრებულის დახმარებით შეძლებთ, გაეცნოთ შეფასების პრინციპებს, ასევე, მასწავლებლების მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც დაგეხმარებათ, გაიაზროთ საკუთარი შედეგები და გააგრძელოთ ზრუნვა კვალიფიკაციის მუდმივ ზრდასა და დახვეწაზე.

2013 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტის II ვარიანტი შეგიძლიათ იხილოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: www.naec.ge.

**გისურვებთ წარმატებას!**

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

პროფესიული უნარების ტესტი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, სამი ნაწილისაგან (სუბტესტისაგან) შედგება: (1) სასწავლო გარემო, (2) განვითარებისა და სწავლის თეორიები და (3) პროფესიული გარემო.

(1) **სასწავლო გარემო.** ტესტის ეს ნაწილი პედაგოგის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროფესიულ უნარებს აფასებს და ამის გამო სასერტიფიკაციო ტესტში ყველაზე ვრცლადაა წარმოდგენილი. ამ სუბტესტში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 65%-ს შეადგენს და აფასებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა, კლასში ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

(2) **განვითარებისა და სწავლის თეორიები**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 20%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ადგენს, რამდენად იცნობს მასწავლებელი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ამასთანავე, აფასებს, როგორ იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

(3) **პროფესიული გარემო**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 15%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ამოწმებს, რამდენად იცნობს მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70. პედაგოგმა სერტიფიკატის მოპოვებისათვის თითოეულ სასერტიფიკაციო გამოცდაში უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი – მან პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის 70-დან 43 ქულა მაინც უნდა მიიღოს. გამსვლელი ქულა განისაზღვრა ქართველი ექსპერტების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიის – სტანდარტის დადგენის პროცედურის – გამოყენებით (**Angoff Standard-Setting Procedure**).

# ღიადაბოლოებიანი დავალებები

2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგოგებს ყველაზე მეტი სირთულეები, წინა წლების მსგავსად, ექმნებათ ღიადაბოლოებიან დავალებებზე მუშაობისას. ამდენად, ღიადაბოლოებიან დავალებებზე მუშაობის სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, მათზე განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას.

ღიადაბოლოებიანი დავალების პირობა შედგება ორი ნაწილისაგან: **წარმოდგენილი სიტუაცია და შესაბამისი შეკითხვა**, რომელსაც არა აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები; აპლიკანტს ევალება თავად იმსჯელოს დავალებაში გამოკვეთილ პრობლემაზე. შეკითხვა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე მითითებას. მითითება ეხმარება აპლიკანტს, კარგად გაიაზროს პირობა და განსაზღვროს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა.

ღიადაბოლოებიანი დავალების ნიმუში

დავალების პირობა:

| | |
|---|---|
| 1. სიტუაცია | დამწყებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ. |
| 2. შეკითხვა/ მითითება | - მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.<br>- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დამწყებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი. |

ღიადაბოლოებიანი დავალება, ჩვეულებრივ, მოითხოვს **სიტუაციის ანალიზს, არგუმენტაციას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის პრევენციაზე ან დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და მათი შესაძლო შედეგების შეფასებას**. ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთადერთი სწორი პასუხი, რადგან შეიძლება დავალებაში აღწერილი პრობლემა სხვადასხვა კუთხით გაანალიზდეს ან ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული გზით დაიძლიოს. სწორედ ამიტომ, თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალებისათვის წინასწარ არის შემუშავებული შეფასების სქემა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია შესაძლო სწორი პასუხები. შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ფასდება აპლიკანტი ნაწილობრივი ან მაქსიმალური ქულით. სქემაში აღწერილი შეფასების საერთო პრინციპისა და შინაარსის ადეკვატურობის გათვალისწინებით

ფასდება თითოეული აპლიკანტის ნაშრომი. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

ღიადაბოლოებიანი დავალების შეფასებისას ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. რუბრიკა შეფასების სქემის გზამკვლევია. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს **ჰოლისტური, ანუ მთლიანი და ანალიტიკური. ჰოლისტური რუბრიკა** ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო **ანალიტიკური რუბრიკა** – ცალკეულ კომპონენტებს. პროფესიული უნარების ტესტში ღიადაბოლოებიანი დავალებების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური რუბრიკა. რუბრიკის ნიმუშები წარმოდგენილია №3 დანართში (გვ. 101).

პედაგოგთა ნამუშევრების თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების საილუსტრაციოდ გთავაზობთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ზოგიერთი ღიადაბოლოებიანი დავალების პასუხების ნიმუშებს თანდართული განმარტებებით. ნიმუშები აღებულია პროფესიული უნარების ტესტის I ვარიანტიდან.

## **დავალება 21** *მაქსიმალური ქულა – 4*

განასხვავებენ საგნობრივი ცოდნის სამ კატეგორიას: ა)დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას – როდესაც მოსწავლემ იცის კონკრეტული წესი, შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა და გაგება; ბ)პროცედურულს, ანუ დინამიურ ცოდნას – როდესაც მოსწავლემ იცის კონკრეტული წესი და იყენებს მას ნასწავლ/ნაცნობ სიტუაციაში და გ)პირობისეულს, ანუ ფუნქციურ ცოდნას – როდესაც მოსწავლეს შეუძლია ცოდნის ინტერპრეტირება, მისი ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში.




– **აღწერეთ** სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ **პროცედურული** ცოდნის დაუფლებას.
– **განმარტეთ**, რატომ მიიჩნევთ თქვენ მიერ აღწერილ სწავლების მეთოდს ეფექტიანად პროცედურული ცოდნის დაუფლებისთვის.

***რას ვაფასებთ***. მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ისე დაგეგმოს და წარმართოს სწავლების პროცესი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს ცოდნის შეძენაში. ამ დავალებით ფასდება, ესმის თუ არა პედაგოგს ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიის არსი, რამდენად კარგად ფლობს იგი სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას და შეუძლია თუ არა ამ სტრატეგიების მიზნობრივად გამოყენება.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 4-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ **პროცედურული** ცოდნის დაუფლებას და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – განმარტოს, რატომ მიიჩნევს ეფექტიანად სწავლების აღწერილ მეთოდს. შესაბამისად, მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: აღწერილია პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშემწყობი მეთოდი და დასაბუთებულია მისი ეფექტიანობა (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.104).

21-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ რამდენიმე ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით.*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია, ლოგიკურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას – მასში აღწერილია უშუალოდ პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშემწყობი მეთოდი და მოცემულია სწავლების ამ მეთოდის ადეკვატურობის დამაჯერებელი დასაბუთება. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია მაქსიმალური ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება***. მოცემულ პასუხში აპლიკანტი აღწერს ადეკვატურ მეთოდს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს პროცედურული ცოდნის დაუფლებაში (*კონკრეტული წესის/ფორმულის გამოყენებით ტიპური მაგალითების ამოხსნა და დასმული ამოცანის გადაჭრის გზების განხილვა*), თუმცა, ამ მეთოდის ადეკვატურობა სქემატურად, ზედაპირულადაა დასაბუთებული - აპლიკანტი მხოლოდ აღნიშნავს, რომ საკითხი მოსწავლეებისთვის გახდება ნაცნობი და არ არის მოცემული ახსნა, რატომ ან როგორ დაეხმარება დასახელებული მეთოდი მოსწავლეს პროცედურული ცოდნის დაუფლებაში – პასუხი მეორე მითითებაზე სქემატურია. შეფასების სქემიდან გამომდინარე, მოცემული პასუხი შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

21.


***განმარტება.*** მოცემულ ნიმუში აპლიკანტის მსჯელობა სქემატური და ზედაპირულია. ნაწილობრივ არის პასუხი გაცემული დავალების ორივე მითითებაზე – პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშემწყობი სწავლების მეთოდის **აღწერის** ნაცვლად აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** მას (*სწავლა ცდით*). პასუხის მეორე, დასაბუთების ნაწილიც არასრულყოფილია და ირიბად უპასუხებს მითითებას – მასში არ არის მკაფიოდ ახსნილი „ცდით სწავლების“ ეფექტიანობა პროცედურული ცოდნის დაუფლებისათვის. აქედან გამომდინარე, აპლიკანტის პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

21.


***განმარტება.*** მოცემული შემთხვევაში აპლიკანტი ნაწილობრივ უპასუხებს მხოლოდ პირველ მითითებას – მხოლოდ **ასახელებს** და **არ აღწერს** სწავლების მეთოდს/სტრატეგიას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს პროცედურული ცოდნის დაუფლებაში (*სწავლა კეთებით).* ამასთან, პასუხში მოცემულია ზოგადი მსჯელობა პროცედურული ცოდნის არსის შესახებ, რაც პირობის ერთგვარ პერიფრაზს წარმოადგენს და პასუხი მეორე მითითებაზე – დასაბუთების კომპონენტი – საერთოდ არ არის. შესაბამისად, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*


21. სწავლის დროს მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა მეთოდს. მაგ. ტრანსფერი - პროცესი, მოსწავლე იძენს კონკრეტულ ცოდნას და შემდეგ გამოიყენებს სხვა მსგავს სფეროში ან სიტუაციაში.
მოსწავლეებს უვითარდებათ:
- დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
- ანალიტიკური უნარი
- თვითშეფასების უნარი, რაც ეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში.

***განმარტება.*** ნიმუშში წარმოდგენილია ტიპური შემთხვევა, როდესაც აპლიკანტის მსჯელობა აცდენილია დავალების მითითებებს, ამასთან პასუხი ბუნდოვანი და ზედაპირულია: მოსწავლის მიერ პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშემწყობ მეთოდად დასახელებულია *„ტრანსფერი“,* თუმცა იქვე მოცემულია განმარტება, რომ ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლე პიროვნულად და კოგნიტურად ვითარდება. ცხადია, სწავლის დროს მოსწავლე ვითარდება და აპლიკანტის მსჯელობის მეორე ნაწილი არ არის მცდარი, მაგრამ მოცემული დავალება აპლიკანტისაგან ითხოვს იმის განმარტებას, კონკრეტულად რომელი მეთოდი უნდა გამოიყენოს პედაგოგმა პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშესაწყობად და რატომ იქნება ამ მეთოდის გამოყენება ეფექტიანი. შესაბამისად, ნიმუშში წარმოდგენილი პასუხი არარელევანტურია და შეფასებულია 0 ქულით.

## დავალება №21-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების მოთხოვნის შეუსაბამო მეთოდის აღწერა.** აპლიკანტები ხშირად ასახელებდნენ ან აღწერდნენ ისეთ სასწავლო მეთოდებს, რომლებიც კომპლექსური ხასიათისაა და მრავალი დადებითი შედეგის მომტანია სწავლების პროცესში (*მაგ, როლური თამაში, პროექტი, დისკუსია*). ეს მეთოდები უშუალოდ პროცედურული ცოდნის დაუფლებისაკენ არ არის მიმართული და მხოლოდ ირიბად უწყობენ ხელს ამ ცოდნის დაუფლებას. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ **იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მსჯელობიდან/ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ მის მიერ დასახელებული აქტივობა უშუალოდ პროცედურული ცოდნის დაუფლებისკენაა მიმართული.**
- **მსჯელობა არასწორი მიმართულებით.** ხშირად აპლიკანტები კითხვაში დასმულ მოთხოვნებზე პასუხის ნაცვლად საუბრობდნენ პროცედურული ცოდნის მნიშვნელობაზე. პასუხები იყო ზოგადი, მოკლებული კონკრეტულობას და მათში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი იყო პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზი.
- **ზედაპირული დასაბუთება.** ასევე ხშირი იყო სტრატეგიების აღწერის შემდგომ მათი ადეკვატურობის ზედაპირული, სუსტი არგუმენტაცია. მაგალითად, მსჯელობაში ხშირად გამოიყენებოდა ფრაზები: „იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია“, „რადგან ეს ეხმარება პროცედურული ცოდნის დაუფლებაში“ და სხვ. ეს დავალება სწორედ იმას აფასებს, იცის თუ არა აპლიკანტმა რატომ იქნება ესა თუ ის მეთოდი ეფექტიანი პროცედურული ცოდნის დაუფლებისათვის და მხოლოდ ასეთი ზოგადი ფრაზა ვერ ჩაითვლება არგუმენტად.

**რეკომენდაცია**

მასწავლებლებს ვურჩევთ, ცოდნის კატეგორიებისა და სწავლების სტრატეგიების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და უკეთ გასააზრებლად წაიკითხონ: „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007); „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 38).

## დავალება 22

*მაქსიმალური ქულა – 4*

საშინაო დავალების მიზანია სწავლის პროცესის ხელშეწყობა და მას ყველაზე ხშირად კლასში ნასწავლი მასალის გამეორებისთვის, ცოდნის გამყარებისათვის იყენებენ. საშინაო დავალება ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ **სწავლისადმი მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად**.

- **დაასახელეთ** პედაგოგის მიერ სწავლების პროცესში საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ორი პრინციპი. ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენ მიერ დასახელებული პრინციპის დაცვა.
- **განმარტეთ**, როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან ხელი შეუწყოს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

***რას ვაფასებთ***. საშინაო დავალება კლასგარეშე სამუშაოა და წარმოადგენს საკლასო სამუშაოს გაგრძელებას, შესაბამისად, იგი სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნაწილია. სწავლების პროცესში საშინაო დავალების გამოყენებას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, პედაგოგი კარგად იცნობდეს ამ მახასიათებლებს, იცოდეს, რა შემთხვევაში როგორი შედეგია მოსალოდნელი; დავალების მიცემის დროს ითვალისწინებდეს არა მხოლოდ მოსწავლეთა ასაკს, ინტერესებსა თუ შესაძლებლობებს, არამედ იმასაც, სწორად იქნა თუ არა შერჩეული დავალება, რომელიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად. არსებობს საშინაო დავალების გამოყენების რამდენიმე პრინციპი, რომელთა დაცვაც პედაგოგს შესაძლებლობას აძლევს ეფექტიანად გამოიყენოს ეს სასწავლო აქტივობა და თავიდან აირიდოს მისი შესაძლო ურყოფითი შედეგები (მაგ. თუ მოსწავლეს არ დაღლით დიდი მოცულობის საშინაო დავალების შესრულებით და მას დარჩება ენერგია და თავისუფალი დრო სხვა აქტივობებისთვისაც, არ დაქვეითდება მისი სწავლის მოტივაცია და საშინაო დავალების შერულების ხალისი). ამ დავალებით ფასდება, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ძირითად პრინციპებს და შეუძლია თუ არა მას ისეთი საშინაო დავალების შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სწავლის მოტივაციის ზრდას.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 4-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა დაასახელოს სწავლების პროცესში საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ორი პრინციპი, ამასთან, განმარტოს რატომ არის მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პრინციპების დაცვა და (2)

განმარტოს, როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან ხელი შეუწყოს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: დასახელებული და დასაბუთებულია საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ორი პრინციპი და განმარტებულია, როგორი დავალება უწყობს ხელს სწავლისადმი დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ. 106).

22-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან აღებულ რამდენიმე ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით*

22. საშინაო დავალება რომ შედეგიანი იყოს, პედაგოგმა უნდა დაიცვას სხვა პრინციპებთან ერთად ორი პრინციპი: 1. საშინაო დავალება გათვლილი უნდა იყოს მოსწავლის შესაძლებლობებზე და არსებულ ცოდნაზე. 2). უნდა მისცეს პედაგოგმა უკუკავშირი. ამ პრინციპების დაცვა აუცილებელია იმიტომ, რომ თუ მოსწავლეს არ აქვს ფორმირებული ცოდნა ახალი ინფორმაციის ათვისება გაუჭირდება და დავალებას სრულყოფილად ვერ შეასრულებს. სისტემატიურად თუ არ შეამოწმა პედაგოგმა დავალება, მოსწავლეებს უქრებათ მოტივაცია ახალი დავალების შესასრულებლად. საშინაო დავალება უნდა იყოს მოსწავლის უნარებზე გათვლილი, შესასრულებლად ადვილი, ბევრ დროს არ მოითხოვდეს. სახალისო, რაც შეიძლება შემოქმედებითი, რომ სწავლის მოტივაციას აძლიერებდეს და ამით აღვივებდეს საგნის სიყვარულს.

***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულად უპასუხებს დავალების ორივე მითითებას: (1) მასში ადეკვატურადაა დასახელებული საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენებისათვის აუცილებელი ორი პრინციპი და თითოეული მათგანი დამაჯერებლად არის დასაბუთებული, ამასთან, (2) განმარტებულია, როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან შეძლოს სწავლის მოტივაციის აღძვრა და შესაბამისად, სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. შეფასების სქემის თანახმად ამგვარი პასუხი ფასდება მაქსიმალური 4 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება***. აპლიკანტის პასუხი არასრულია. იგი ასახელებს საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების არა ერთ ადეკვატურ პრინციპს (*მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება, ნათელი ინსტრუქციები, დავალების მოცულობა და ა.შ.*), მაგრამ ჩამოთვლილ პრინციპთაგან მხოლოდ ერთის – დავალების მოცულობის შესახებ მსჯელობის დროს მოჰყავს არგუმენტი. დავალების პირველი მითითების თანახმად კი აპლიკანტს უნდა დაესაბუთებინა, რატომ არის მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული ორივე პრინციპის დაცვა. აპლიკანტი აგრეთვე ადეკვატურად, თუმცა ზედაპირულად, განმარტავს როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან ხელი შეუწყოს სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მოცემული პასუხი, როგორც არასრული, შეფასების სქემიდან გამომდინარე, შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა დავალების პირობის ადეკვატურია, მაგრამ უპასუხებს მხოლოდ პირველ მითითებას და ასახელებს მხოლოდ ერთ პრინციპს (*დავალების დროული შემოწმება და უკუკავშირი*). აპლიკანტი იძლევა სრულ, ადეკვატურ განმარტებას, თუ რატომაა მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პრინციპის დაცვა. პასუხიდან ჩანს, რომ აპლიკანტს კარგად ესმის მის მიერ დასახელებული პრიციპის არსი, მისი მნიშვნელობა როგორც მასწავლებლისათვის (*გაარკვიოს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები*), ასევე მოსწავლისათვის (*არ დაკარგოს დავალების შესრულების მოტივაცია*). მიუხედავად

იმისა, რომ აპლიკანტი არ ითვალისწინებს დავალების პირობის ყველა მოთხოვნას – ნაწილობრივ უპასუხებს პირველ მითითებას და უპასუხოდ ტოვებს დავალების მეორე მითითებას, ნაშრომი შეფასდა 2 ქულით, ვინაიდან პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემული პასუხი ზედაპირულია. აპლიკანტის მსჯელობის ძირითადი ნაწილი ეთმობა საშინაო დავალების დადებითი შედეგების დასახელებას, რაც ნაწილობრივ დავალების პირობის პერიფრაზია. პასუხის დაკვნით ნაწილში აპლიკანტი ადეკვატურად ასახელებს პრინციპს – *დავალების მიცემის დროს მოსწავლის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინება* და აკონკრეტებს საშინაო დავალების შესრულებაზე დახარჯული დროის ლიმიტს სხვადასხვა ასაკისათვის, თუმცა იგი არ განმარტავს საკუთარ მოსაზრებას, რატომაა მნიშვნელოვანი დროის ლიმიტის დაცვა, ან საშინაო დავალების მიცემის დროს მოსწავლეთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. ამგვარი პასუხი მიუთითებს, რომ აპლიკანტს გააჩნია საკითხის არასაკმარისი ცოდნა. ამიტომ, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშებში (№№5, 6) წარმოდგენილი პასუხები შეფასებულია 0 ქულით. მათში სხვადასხვა ტიპის საკმაოდ გავრცელებული შეცდომებია დაშვებული, ამიტომ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად მათი კრებულში განხილვა.
მე-5 ნიმუშში წარმოდგენილია ტიპური შემთხვევა, როდესაც აპლიკანტი მსჯელობს დასმულ საკითხზე, მაგრამ მოჰყავს არაადეკვატური მაგალითი (*გონებრივი იერიში*). გარდა ამისა, აპლიკანტის პასუხში წარმოდგენილი მსჯელობა ბუნდოვანი და ალოგიკურია, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აპლიკანტი არ ფლობს სათანადო ცოდნას. ცხადია, ამგვარი პასუხი არ არის მისაღები და შეფასებულია 0 ქულით.
განსხვავებული შეცდომაა დაშვებული მეორე ნიმუშში (№6). აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს საშინაო დავალების მიზნებზე და არ უპასუხებს დავალების არც ერთ მითითებას. ამდენად, მსგავსი პასუხის საფუძველზე რთულია რაიმე დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, იცავს თუ არა აპლიკანტი საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების რომელიმე პრინციპს საკუთარ პრაქტიკაში ან როგორ უწყობს ხელს მოსწავლეებს სწავლისადმი დადებითი განწყობის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით.

## დავალება №22-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობას აცდენილი პასუხები.** ხშირად აპლიკანტები საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების პრინციპების დასახელების ნაცვლად საუბრობდნენ საშინაო დავალების დადებით მხარეებზე, უგულებელყოფდნენ დავალების მითითებებს, შედეგად, მათი პასუხები იყო ზოგადი, მოკლებული კონკრეტულობას და ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენდა პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს.
- **ზედაპირული დასაბუთება.** ასევე ხშირი იყო პრინციპების დასახელების შემდგომ მათი ადეკვატურობის ზედაპირული, სუსტი არგუმენტაცია. მაგალითად, მსჯელობაში ხშირად გამოიყენებოდა ფრაზები: *„რაც მიგვიყვანს დადებით შედეგამდე“, „წინააღმდეგ შემთხვევაში ეფექტს ვერ მივაღწევთ.“* და სხვ. ამ დავალების მიზანი იმის შეფასებაა, რამდენად კარგად ესმის აპლიკანტს პრინციპის არსი, რისი დადგენაც ასეთი ზოგადი არგუმენტის საფუძველზე შეუძლებელია.

**რეკომენდაცია**

მასწავლებლებს ვურჩევთ, საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და უკეთ გასააზრებლად წაიკითხონ: „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 147-164), მარზანო, რ. „ეფექტური სწავლება სკოლაში“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009, გვ. 72-84).

## დავალება 23 *მაქსიმალური ქულა – 3*

მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სწავლისათვის სწორი მიმართულების მიცემა, მოსწავლეთათვის სასწავლო მიზნების განსაზღვრა. კვლევებმა ცხადყო, რომ სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, მოსწავლე თავად სწავლობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვას და შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა, რაც დადებითად აისახება მის აკადემიურ მიღწევებზე.

– რომელი მოთხოვნა/პირობა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***რას ვაფასებთ.*** მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელვანია, მასწავლებელმა ისე დაგეგმოს და წარმართოს სწავლების პროცესი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარის განვითარებაში. დავალება აფასებს რამდენად იცის აპლიკანტმა, რა ფაქტორები განაპირობებს სასწავლო მიზნების დასახვის ეფექტიანობას და როგორ შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს, ისწავლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა.

***შეფასების კრიტერიუმები.*** ეს დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა დაასახელოს პირობა/მოთხოვნა რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისთვის მიმართულების მიცემა და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, რატომ არის მნიშვნელოვანი და/ან როგორ დაეხმარება დასახელებული პირობის/მოთხოვნის გათვალისწინება.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული – დასახელებულია მოსწავლის მიერ მიზნის დასახვისა და სწავლისათვის მიმართულების მიცემისათვის მნიშვნელოვანი/არსებითი მოთხოვნა/პირობა. პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ. 107).

23-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ რამდენიმე ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი უპასუხებს დავალებაში მოცემულ ორივე მითითებას, განმარტებულია მოსწავლეთათვის მიზნების დასახვის დროს მნიშვნელოვანი პირობა, იმისათვის, რათა მათ ისწავლონ და შემდგომ თავად შეძლონ სწავლისათვის მიმართულების მიცემა. ამასთან განმარტავს რატომ არის მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პირობის გათვალისწინება. ამგვარი მსჯელობა შეფასების სქემის მიხედვით ფასდება მაქსიმალური (3) ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი სრულად პასუხობს პირველ მითითებას – სწორად არის დასახელებული ის მოთხოვნა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს. ასევე მსჯელობაში მოცემულია პასუხი მეორე მითითებაზეც – აპლიკანტი განმარტავს საკუთარ პასუხს, მოჰყავს ადეკვატური, მაგრამ ძალიან ზოგადი არგუმენტები. იგი მკაფიოდ არ განმარტავს, თუ როგორ უწყობს ხელს მოსწავლეებს დასახელებული პირობის გათვალისწინება, ისწავლონ საკუთარი სწავლისათვის მიმართულების მიცემა. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი არასრულია და შეფასებულია 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

23. პედაგოგებმა მოსწავლეებისთვის უნდა დასვან ცხადი, ნათელი და გა-
თვალისწინოს მოსწავლის ცოდნა-შეხედულება რას ფიქრობს ისინი მიზნების
დასახვის. რამდენადაც შეუძლიათ მათ ამ მიზნებზე ფიქრი. ეს
აქტივობები, გონიერების ნიჭი, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეძლოს
საკუთარი სწავლის პროცესის მართვის მიღწევა.

***განმარტება.*** როგორც ვხედავთ, აპლიკანტი ასახელებს ადეკვატურ მოთხოვნას (*მოსწავლეთა შესაძლებლობები*), რომლის გათვალისწინებაც ეხმარება მოსწავლეებს თავად ისწავლონ მიზნების დასახვა და საკუთარი სწავლისათვის მიმართულების მიცემა, თუმცა, პასუხში არ არის ახსნილი რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მოთხოვნის გათვალისწინება და როგორ დაეხმარება იგი მოსწავლეებს საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. შეფასების სქემის მიხედვით პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

23. მასწავლებლისთვის ძალიან პრიორიტეტი სკოლაში მოსწავლისთვის დადებითი
ატმოსფეროს შექმნა. სადაც ბავშვის სასწავლო პროცესი სასიამოვნო იქნება.
ასევე ხოლმე მასწავლებელი უნდა იყოს მიზანდასახული, მომთმენი, მზრუნ-
ველი მიმართ მოსწავლისთვის. ეს პასუხობს ყველაზე მოსწავლის აკადემიურ მიღ-
წევებზე. მისი მიზნების დასახვას დამოუკიდებლად შეძლებს.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

23. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს სასწავლო პროცე-
სების მართვის წესებზე და თვითრეფლექსიაზე და ინფორმაციულ კულ-
ტურა.

**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

23. მასწავლებელმა მოსწავლეების ინდივიდუალური
შესაძლებლობები უნდა გაითვალისწინოს, რომ შეძლოს და იცოდეს. მეთოდური
ყველა მოსწავლე ერთნაირად კომპეტენტური არ არის.
მასწავლებელმა განსხვავებული მეთოდები უნდა გამოიყენოს
მოსწავლეთა სასწავლო პროცესის წარმართვის დროს, იმისთვის
რომ შეძლონ მოსწავლეებმა თავად აირჩიონ და გადაწყვიტონ
თუ რა მეთოდის, რა სტრატეგიის გამოყენებით
წარმართონ სასწავლო პროცესი, რაც შედეგად მათ
აკადემიურ მოსწრებას აწევს.

***განმარტება.*** წარმოდგენილი ნიმუშები (№№4, 5, 6) შეფასებულია 0 ქულით. სამივე შემთხვევაში მსჯელობა აცდენილია დავალების პირობას/მითითებას, ეს მაგალითები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში გადმოცემული მოსაზრებები ზოგადად მართებულია, მაგრამ არ პასუხობს დავალების მთავარ კითხვას – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს მიზნების დასახვა – ნაცვლად ამისა, მათში საუბარია სკოლაში დადებითი ატმოსფეროს შექმნასა და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე (ნიმუში 4 და 6), ხოლო ერთ-ერთ მათგანში (ნიმუში 5) მხოლოდ მოცემულია დავალების პირობის ფერიფრაზი. ამგვარი პასუხები კი შეფასების სქემის მიხედვით ფასდება 0 ქულით.

## დავალება №23-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის მნიშვნელობაზე.** პირობის მოთხოვნაზე პასუხის ნაცვლად აპლიკანტები ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ თავად შეძლოს მიზნების დასახვა და საკუთარი სწავლისათვის მიმართულების მიცემა. მსჯელობენ, როგორ აისახება ყოველივე ეს აკადემიურ შედეგებზე და ამა თუ იმ უნარისა თუ პოროვნული თავისებურების განვითარებაზე – დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა, თვითრწმენა, თვითდისციპლინა და ა.შ.
- **უნივერსალური მოთხოვნების/პირობების დასახელება დასაბუთების გარეშე.** აპლიკანტთა ნაწილი ასახელებდა უნივერსალურ მოთხოვნებს რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნებისმიერი სასწავლო აქტივობის გამოყენების დროს. მაგალითად, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ამასთან, პასუხებში ან საერთოდ არ ფიგურირებდა დასაბუთება, ან მოყვანილი არგუმენტი იყო ძალიან ზოგადი, სქემატური და ფაქტობრივად იმეორებდა დავალების პირობას. ამგვარ შემთხვევაში შეუძლებელია იმის შეფასება, იცის თუ არა მასწავლებელმა როგორ ასწავლოს მოსწავლეებს სასწავლო მიზნების დასახვა.

### რეკომენდაცია

მასწავლებლებს ვურჩევთ მოცემული საკითხის უკეთ გასააზრებლად, წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 142-144); „ეფექტური სწავლება სკოლაში“ რ.ჯ. მარზანო (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009. გვ. 111-119); „სასწავლო და პროფესიული გარემო“, (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 80).

# დავალებები №24–28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტ სივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, ჩაერთოს წამოჭრილ პრობლემებზე გამართულ დისკუსიაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

## დავალება 24

*მაქსიმალური ქულა – 3*

### აბუჩად აგდების (ბულინგის) ფაქტების პრევენცია

*აბუჩად აგდება (ბულინგი) გულისხმობს აგრესიულ ან ნეგატიურ ქცევას ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ნაკლებად ძლიერი ადამიანის მიმართ (Caroll-Lind, 2009).*



**Ana Mestvirishvili**

სკოლებში მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელის ჩაგვრა, აბუჩად აგდება საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. აბუჩად აგდების ფაქტები უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, არამედ მათ მიღწევებზე სწავლაში.

მაინტერესებს, რა შეიძლება გავაკეთო მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელის აბუჩად აგდების თავიდან ასარიდებლად?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 18:41-ზე

***რას ვაფასებთ.*** მოცემული ე.წ. სიმულაციური დავალება და აფასებს რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი „ბულინგის“ პრობლემას და მისი პრევენციის სტრატეგიებს. „ბულინგი“ სოციალური მოვლენაა, რომელიც დამახასიათებელია ძირითადად ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის და პირველ რიგში სკოლისათვის. „ბულინგი“ ვლინდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჩაგვრის სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს სისტემატური დაცინვა (მსხვერპლის გარეგნობის ან პიროვნული მახასიათებლების), მსხვერპლის ნივთების დაზიანება, ფულის ან პირადი ნივთების გამოძალვა, აბუჩად, მასხრად აგდება, დამცირება. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი თანატოლებისგან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მახასიათებლებით. აქედან გამომდინარე, „ბულინგის“ თავიდან არიდების ყველაზე ეფექტური საშუალებაა სკოლაში სოციალური გარემოს გაჯანსაღება, მოსწავლეთა ქცევის მუდმივი, ფრთხილი კონტროლი და მათთვის პოზიტიური ქცევის მაგალითების ჩვენება, ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ემპათიის გაღვივებას.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) დეტალურად უნდა აღწეროს სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელის აბუჩად აგდების (ბულინგის) პრევენციას და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, თუ რატომ და როგორ შეუწყობს ხელს „ბულინგის“ პრობლემის თავიდან არიდებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, პასუხში ჩანს **„ბულინგის“ პრევენციული ღონისძიებების სრულყოფილი ცოდნა და/ან ამ ცოდნაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალების პირობა; პასუხში ჩანს პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი; აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით; აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია. (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ. 108).

24-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან აღებული რამდენიმე ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება***. აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობის ორივე მითითებას. პასუხში დასახელებულია ბულინგის პრევენციისათვის ადეკვატური სტრატეგია, რომელიც მოიცავს ორ აქტივობას. თითოეული აქტივობა (*როლური თამაში და დისკუსია*), რომელსაც ასახელებს აპლიკანტი გამყარებულია სათანადო არგუმენტით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ავტორს სწორად აქვს გააზრებული პრობლემის არსი. აპლიკანტმა იცის, რომ მოსწავლეები პრობლემას უფრო ღრმად გაიაზრებენ, თუ მათ როლური თამაშის შემდგომ შესაძლებლობა მიეცემათ ისაუბრონ საკუთარ განცდებზე. აპლიკანტი სრულად უპასუხებს დავალების პირობით განსაზღვრულ ყველა მითითებას და იმსახურებს მაქსიმალურ (3) ქულას.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება***. აპლიკანტის მიერ დასახელებული სტრატეგია – მოსწავლეებთან მსხვერპლის დადებით მხარეებზე მხოლოდ საუბარი – არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, თუმცა აპლიკანტი მსჯელობას სწორი მიმართულებით წარმართავს, ის ამ გზით ცდილობს აღმოფხვრას ბულინგის გამომწვევი მიზეზი (*მათი ყურადღება გადააქვს მოსწავლის დადებით თვისებებზე*). შეფასების სქემის მიხედვით აპლიკანტის პასუხი 2 ქულით ფასდება, რადგან ის მხოლოდ აღწერს სტრატეგიას და არ ასაბუთებს საკუთარ პასუხს.

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.*** პასუხის უმეტესი ნაწილი დავალების პირობის პერიფრაზია. აპლიკანტის პასუხი მშრალია და ზედაპირული, არ იძლევა სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად კარგად შეძლებს პედაგოგი მსგავსი პრობლემის მოგვარებას პრაქტიკაში, რადგან არ არსახელებს არც ერთ კონკრეტულ სტრატეგიას, რომლის გამოყენებითაც შეძლებდა მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. აპლიკანტი ძალიან ზოგადად უპასუხებს დავალების მხოლოდ პირველ მითითებას და, ამდენად, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.*** მოცემული ნიმუშის ავტორი პრობლემის გადასაჭრელად არ გვთავაზობს არც ერთ სტრატეგიას. მისი მსჯელობა არის ზოგადი და ფაქტობრივად პრობლემური სიტუაციის ავტორისეული შეფასება. შესაბამისად, როდესაც აპლიკანტი არ უპასუხებს დავალების პირობის არც ერთ მითითებას ნაშრომი ფასდება 0 ქულით.

## დავალება №24-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის პერიფრაზირება.** პასუხის გაცემისას აპლიკანტები ხშირად პრობლემის დასაძლევის სტრატეგიების ნაცვლად დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს გვთავაზობენ. აღწერენ სიტუაციას, რომელიც იქმნება კლასში ბულინგის პრობლემის წამოჭრის გამო, საკუთარი სიტყვებით გადმოგვცემენ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას. ამგვარი პასუხები მიიჩნევა არაადეკვატურად და, შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულით ფასდება.
- **ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობები.** ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტი აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას, მსჯელობის გასამყარებლად მოჰყავს მისაღები არგუმენტები, მაგრამ პარალელურად გვთავაზობს სტრატეგიას, რომელიც არა მხოლოდ მიუღებელია კონკრეტული პრობლემის დასაძლევად, არამედ ეწინააღმდეგება თავად აპლიკანტის მიერ უკვე გამოთქმულ მსჯელობას. რაც ხდება ვარაუდის საფუძველი, რომ აპლიკანტს არ აქვს საკმარისი ცოდნა და გაუჭირდება მსგავსი პრობლემის დაძლევა.

**რეკომენდაცია**

„ბულინგის" პრობლემის უკეთ გააზრების და მისი პრევენციისათვის შესატყვისი სტრატეგიების გაცნობის მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „სასწავლო და პროფესიული გარემო" (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 90-102); „ეფექტიანი სწავლება" (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 215-228).

## დავალება 25 *მაქსიმალური ქულა – 3*

## დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება



მაკა საჯაია

ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ მისი შვილის სკოლაში მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ჩვენს შვილებს რომ ვადარებ, განსხვავება თვალშისაცემია. როგორც ჩანს, ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვის ამ მიმართულებით განვითარებისთვის სპეციალურ სტრატეგიებს იყენებს. მეც მინდა, რომ ჩემი შვილი აზროვნებდეს დამოუკიდებლად, ჰქონდეს საკუთარი პოზიცია.

კარგი იქნება, თუ ჩემს თხოვნას გამოეხმაურებით და პედაგოგები ერთმანეთს გაუზიარებთ ცოდნას დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების შესახებ.

მომწონს · კომენტარი · გამოწერის გაუქმება · დღეს, 11:25-ზე

***რას ვაფასებთ.*** მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ისე დაგეგმოს და წარმართოს გაკვეთილი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარებას. მოცემული დავალებით ფასდება, ესმის თუ არა პედაგოგს დამოუკიდებელი აზროვნების მნიშვნელობა, ამასთან რამდენად ფლობს დამოუკიდებლი აზროვნების განვითარების სტრატეგიებს და შეუძლია თუ არა სწავლების პროცესში ამ სტრატეგიების გამოყენება.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში და (2) უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია/აქტივობა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი: აღწერილია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი ერთი კონკრეტული სტრატეგია და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ. 109).

25-ე დავალების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას - აღწერილია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები და დასაბუთებულია. პასუხში ნათლად ჩანს, თუ რატომ და როგორ დაეხმარება მოცემული სტრატეგია მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში. შეფასების სქემის შესაბამისად, პასუხი შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობ ერთ-ერთ სტრატეგიას (*დისკუსია*) და ასაბუთებს დასახელებული სრატეგიის ადეკვატურობას. თუმცა, აპლიკანტი ორივე მითითებას სქემატურად უპასუხებს. იგი არ აღწერს დასახებულ სტრატეგიას და მოცემული არგუმენტაციაც არ არის სრულყოფილი. კარგად არ ჩანს, როგორ დაეხმარება მოცემული სტრატეგია მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში. შეფასების სქემის მიხედვით მოცემული პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*



***განმარტება.*** მოცემულ ნაშრომში აპლიკანტი მხოლოდ პირველ მითითებას პასუხობს. დასახელებულია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები (*სტრატეგია 3.2.1, ვენისა და T დიაგრამები*). აპლიკანტი ვერ ასაბუთებს, როგორ და რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგიები მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში. ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობაზე (*დამოუკიდებლად ახარისხებს მსგავსს და განსხვავებულს*), რაც ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ აპილიკანტს უჭირს დამოუკიდებელ მუშაობასა და დამოუკიდებელ აზროვნებას შორის განსხვავების დანახვა. მოცემულ ნიმუშში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა, შესაბამისად პასუხი იმსახურებს 1 ქულას.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



***განმარტება.*** მოცემული ნიმუშები (№№4,5) ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს. ორივე მსჯელობა ზოგადია და არ შეესაბამება დავალების მოთხოვნას; არც ერთ მითითებაზე არ არის წარმოდგენილი სქემატური პასუხიც კი. აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება მნიშვნელოვანია და რომ მისი განვითარების ხელშეწყობა მასწავლებელს შეუძლია, მაგრამ არ არის მოცემული, თუ როგორ უნდა დაეხმაროს იგი მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში და ამისათვის რა სრატეგიები უნდა გამოიყენოს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ნიმუშები არ შეესაბამება დავალების პირობებს. შეფასების სქემის მიხედვით, პასუხები შეფასებულია 0 ქულით.

**დავალება №25-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები**

- **გამოყენებული სტრატეგია/აქტივობის ადეკვატურობის დასაბუთება.** ხშირად გვხვდება პასუხები, რომელშიც აპლიკანტები უგულებელყოფენ დავალების მეორე მითითებას – ისინი არ ასაბუთებენ მათ მიერ დასახელებული თუ აღწერილი სტრატეგიის/აქტივობის ადეკვატურობას. ასეთი ტიპის პასუხებიდან არ ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა და აპლიკანტის მიერ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- **ხელშემწყობი სტრატეგიის აღწერის ნაცვლად მხოლოდ მათი დასახელება.** საკმაოდ გავრცელებულია პასუხები, რომელშიც მხოლოდ დასახელებულია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგია/ სტრატეგიები, მაგრამ არ არის აღწერილი. რის საფუძველზეც ასევე რთულია აპლიკანტის ცოდნაზე მსჯელობა.

**რეკომენდაცია**

დამოუკიდებელი აზროვნების ხელშემწყობი სტრატეგიების უკეთ გასაცნობად მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 193-215), „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007); „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“ (www.tpdc.ge)

## დავალება 26 *მაქსიმალური ქულა – 3*

### პორტფოლიოს მეთოდის გამოყენება




კოტე ურუშაძე

ბოლო დროს, უამრავი მასწავლებლისგან მესმის, რომ მოსწავლეების შესაფასებლად პორტფოლიოს იყენებს. მეც დავიწყე ჩემი მოსწავლეების პორტფოლიოების მომზადება, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უკმაყოფილო ვარ, რადგან ამ საქმიანობას ძალიან ბევრი დრო მიაქვს და არაფერში მადგება.

იქნებ ამიხსნათ, რა უპირატესობა აქვს პორტფოლიოს ჩვეულებრივ შეფასებასთან შედარებით?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 11:25-ზე

***რას ვაფასებთ***. დავალება აფასებს, რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი შეფასების სხვადასხვა ფორმას და იყენებს თუ არა მათ ადეკვატურად პრაქტიკაში. პორტფოლიო არის მოსწავლის ნამუშევრების ნაკრები, რომელიც ასახავს მის განვითარებას და მიღწევებს, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩვეულებრივ შეფასებასთან შედარებით მისი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ მასწავლებელს უჩვენებს მოსწავლის შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რადგან პორტფოლიოს საშუალებით შესაძლებელია მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება, მისი ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტით შემოწმება.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) დეტალურად უნდა აღწეროს პორტფოლიოს ერთი უპირატესობა შეფასების სხვა ფორმასთან შედარებით და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, კონკრეტულად რა განაპირობებს მის მიერ დასახელებულ უპირატესობას.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, პასუხში ჩანს **შეფასების ფორმების სრულყოფილი ცოდნა, პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალების პირობა; პასუხში ჩანს პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი; აღწერილი უპირატესობა დასაბუთებულია კონკრეტული/სპეციფიკური არგუმენტებით; აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია. (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ. 110).

26-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან აღებული რამდენიმე ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*


26.

**განმარტება.** წარმოდგენილ ნაშრომში აპლიკანტი სრულად აღწერს პორტფოლიოს ყველაზე არსებით უპირატესობას (*მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობა*) და იძლევა სათანადო განმარტებებს. აპლიკანტს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს ისეთი არგუმენტები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ საკითხის გააზრებულ ცოდნაზე. აპლიკანტი სრულად უპასუხებს დავალების პირობის ორივე მითითებას, ავლენს შეფასების ფორმების ცოდნასა და გამოყენების უნარს, შესაბამისად, იმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას – 3 ქულას.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*


26.

**განმარტება.** მოცემულ ნაშრომში აპლიკანტი შემოიფარგლება პორტფოლიოს უპირატესობის დასახელებით და ზედაპირული განმარტებით. აპლიკანტი არ უპასუხებს მეორე მითითებას, არ განმარტავს კონკრეტულად, რა განაპირობებს პორტფოლიოს მის მიერ დასახელებულ უპირატესობას. პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, მაგრამ მსჯელობა არ არის სრული, პასუხი არ არის ცხადი, მკაფიო. შეფასების სქემის თანახმად, პასუხი ფასდება 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი ასახელებს პორტფოლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობას (*მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობა*), მაგრამ ის არ განმარტავს, როგორ იძლევა პორტფოლიო მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. მსგავსი პასუხები, რომელიც ითვალისწინებს დავალების პირობის მხოლოდ ერთ მითითებას, შეფასების სქემის მიხედვით ფასდება 1 ქულით, როგორც არასრული, ზედაპირული პასუხი.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** წარმოდგენილი ნაშრომი არის ყველაზე ტიპური შეცდომის ნიმუში, როდესაც დავალების პირობა არ არის სწორად გაგებული და აპლიკანტი პორტფოლიოს ნაცვლად საუბრობს მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერებზე, რომელიც ეხება არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევებს, არამედ მის ყოფაქცევასაც. მსგავსი პასუხით ნათელი ხდება, რომ აპლიკანტს არ გააჩნია სათანადო ცოდნა, მან არ იცის, რას წარმოადგენს პორტფოლიო და შესაბამისად ვერ გამოიყენებს მას ადეკვატურად საკუთარ პრაქტიკაში. შეფასების სქემის თანახმად, ასეთი პასუხები ფასდება როგორც დავალების პირობას აცდენილი და იმსახურებს 0 ქულას.

## დავალება №26-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის არასწორი გააზრება.** ჩამოთვლილ ტიპურ შეცდომათაგან ყველაზე ხშირად გვხვდებოდა სწორედ ამ ტიპის შეცდომები, როდესაც აპლიკანტები მოსწავლის პორტფოლიოს ნაცვლად საუბრობდნენ მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერებზე, რაც დავალების პირობის არასწორ გაგებაზე მიუთითებს.
- **ზოგადი მსჯელობები.** მასწავლებელთა ნაწილი ზოგადად მსჯელობს შეფასებისა და პორტფოლიოს მნიშვნელობაზე, მაგრამ არ აღწერს პორტფოლიოს არც ერთ კონკრეტულ უპირატესობას შეფასების სხვა ფორმებთან შედარებით, რაც არ იძლევა არანაირ ინფორმაციას, იცის თუ არა აპლიკანტმა საკითხი.
- **დავალების პირობის პერიფრაზირება.** პასუხის გაცემისას აპლიკანტები საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას, ეთანხმებიან წერილის ავტორს, რომ პორტფოლიოს წარმოებას ნამდვილად დიდი დრო მიაქვს და არ პასუხობენ დავალებას მითითებების მიხედვით. ამგვარი პასუხები მიიჩნევა არაადეკვატურად და, შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულით ფასდება.

**რეკომენდაცია**

შეფასების ფორმების უკეთ გასაცნობად მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 229-251), „შეფასება-საკითხავი მასალა“, მასწავლებლის სახლი (გვ.40-44).

## დავალება 27 *მაქსიმალური ქულა – 3*

### მოზარდის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა



თამარ სხირტლაძე

დაწყებით კლასებს ვასწავლი. შემჩნეული მაქვს, რომ მოსწავლეები ჩემი ყურადღების მიპყრობის მიზნით ერთმანეთს აბეზღებენ - „მატყობინებენ“, ვინ რა გააკეთა, როგორ მოიქცა: „სანდრომ სხვა მაგალითი ამოხსნა“, „ნინოს შეცდომა აქვს!“ „გიოს დავალება არ დაუწერია“ და ა.შ.

მაინტერესებს, როგორი რეაგირება უნდა მქონდეს მოსწავლეების ამგვარ ქცევაზე, რომ ხელი შევუწყო მათ პიროვნულ განვითარებას.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 22:27-ზე

***რას ვაფასებთ***. სკოლა და სასკოლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს, კარგად უნდა აცნობიერებდეს საკუთარი როლს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში და, შესაბამისად, უნდა იყენებდეს ადეკვატურ სტრატეგიებს მის ხელშესაწყობად. მოცემული დავალება აფასებს, რამდენად კარგად ესმის აპლიკანტს სასკოლო გარემოსა და მასწავლებლის როლი მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაში, აქვს თუ არა პიროვნული განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ განვითარებაში და (2) უნდა დაასაბუთოს, რატომ/როგორ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია/აქტივობა პიროვნულ განვითარებას. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორადაა გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის გაცემული პასუხი: აღწერილია პიროვნული განვითარების ხელშემწყობი ერთი კონკრეტული სტრატეგია და დასაბუთებულია დასახელებული სტრატეგიის მართებულობა; აპლიკანტის მიერ ახსნილია, თუ რატომ შეუწყობს აღნიშნული აქტივობა ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.111).

27-ე დავალების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი სწორად ასახელებს სტრატეგიას, რომელიც ხელს შეუწყობს დავალებაში მოცემული პრობლემის მოგვარებას და ასევე, ასაბუთებს დასახელებული სტრატეგიის მართებულობას. მსჯელობა პირობის ადეკვატურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას. შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა მაქსიმალური – 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი მსჯელობს რა მეთოდები (*დასჯა და მკაცრი ზომები*) არ უნდა გამოიყენოს პედაგოგმა მსგავსი ქცევის აღმოსაფხვრელად; გვთავაზობს რამდენიმე ადეკვატურ სტრატეგიას, რომლის გამოყენებით პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ განვითარებაში, მაგრამ ის არ ასრულებს მეორე მითითებას – არ ასაბუთებს მის მიერ დასახელებული სტრატეგიის ადეკვატურობას – რატომ და როგორ შეუწყობს ხელს ის მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*


27. მოსწავლეების ამგვარ ქცევას მასწავლებელი უნდა მოეკიდოს წყნარად, მშვიდად, უნდა აუხსნას, რომ ბავშვები და ამის [illegible] [illegible] საქციელია. ამგვარი მეთოდით თუ მიუდგება მასწავლებელი მოსწავლეებს, ამით ის ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ განვითარებას.

***განმარტება.*** მოცემულ პასუხში აპლიკანტი ძალიან ზოგადად მსჯელობს, თუ როგორ უნდა რეაგირებდეს პედაგოგი მოსწავლის ამგვარ ქცევაზე. იგი ასახელებს სტრატეგიას, მაგრამ არ აღწერს, ამასთან, საერთოდ არ არის მოცემული პასუხი მეორე მითითებაზე. აპლიკანტი არ ასაბუთებს, თუ რატომ და როგორ შეუწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია ბავშვის პიროვნულ განვითარებას. ასეთი ზოგადი პასუხიდან რთულია ვიმსჯელოთ რამდენად კარგად აქვს აპლიკანტს გააზრებული პედაგოგის როლი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში და რამდენად შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს ამ თვლსაზრისით. შეფასების სქემის გათვალისწინებით, პასუხი შეფასდა 1 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



***განმარტება.*** პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს დავალების პირობა სწორად არა აქვს გააზრებული. მოცემულ ნიმუშში დასახელებულია ერთი სტრატეგია, რომელსაც მოყვება საკმაოდ ბუნდოვანი მსჯელობა, საიდანაც არ ჩანს, რატომ მიაჩნია აპლიკანტს ეს სტრატეგია დავალების პირობაში აღწერილი პრობლემის გადაჭრისთვის ადეკვატურად. მოცემული პასუხიდან რთულია ვიმსჯელოთ ესმის თუ არა მას საკითხი და შეუძლია თუ არა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების სქემიდან გამომდინარე, პასუხი შეფასდა 0 ქულით.




***განმარტება.*** მოცემული ნიმუში დავალების პირობის არაადეკვატურია. აპლიკანტი დავალების მითითებებს არ უპასუხებს. მოცემულია მხოლოდ ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი მსჯელობა მოსწავლის პიროვნული განვითარების შესახებ. შეფასების სქემის მიხედვით, დავალება შეფასდა 0 ქულით.

## დავალება №27-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დასაბუთების არარსებობა.** ხშირად აპლიკანტები არ უპასუხებენ დავალების მეორე მითითებას – არ ასაბუთებენ მათ მიერ დასახელებულ თუ აღწერილ სტრატეგიას/აქტივობას. ასეთი ტიპის პასუხებიდან არ ჩანს, რატომ და/ან როგორ შეუწყობს ხელს აღნიშნული სტრატეგია მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.
- **ხელშემწყობი სტრატეგიის აღწერის ნაცვლად მხოლოდ დასახელება.** საკმაოდ გავრცელებულია პასუხები, რომელშიც მხოლოდ დასახელებულია პიროვნული განვითარების ხელშემწყობი სტრატეგია/სტრატეგიები, მაგრამ არ არის აღწერილი. რის საფუძველზეც, რთულია აპლიკანტის ცოდნის შესახებ მსჯელობა.

### რეკომენდაცია

პიროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების უკეთ გასაცნობად მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010), „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008); „ხუთი წლის ასაკის ბავშვის სწავლა სწავლების თავისებურებანი“ (სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011).

## დავალება 28 *მაქსიმალური ქულა – 3*

### ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება



**Nini Burduli**

კოლეგები მეუბნებიან, რომ ჩანაწერების გაკეთება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლაში - მოსწავლეები, რომლებიც ჩანაწერებს აკეთებენ, უფრო კარგად იმახსოვრებენ და ითვისებენ მასალას. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩანაწერები ხარისხიანია.

არ ვიცი, როგორ ვასწავლო ბავშვებს ისეთი ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება, როგორიც მათ ხელს შეუწყობს სწავლაში.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 22:27-ზე

***რას ვაფასებთ.*** მოსწავლეების სწავლის ხელშესაწყობად მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიასა და ხერხებს იყენებს. ჩანაწერების გაკეთება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა მასალის სიღრმისეულად ათვისებისა და არსებითი საკითხების ხანგრძლივად დამახსოვრებისათვის. შესაბამისად, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ისწავლოს ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება. ამ დავალებით ფასდება რამდენად იცნობს მასწავლებელი ჩანაწერების გაკეთების ტექნიკებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, ორ მითითებას უნდა უპასუხოს: (1) აღწეროს პრაქტიკული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაეხმარება დავალების პირობაში დასმული პრობლემს გადაჭრაში და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი - ახსნას რატომ ან როგორ ეხმარება აღწერილი სტრატეგია მოსწავლეებს ისწავლოს ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება.

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, აღწერილია ადეკვატური აქტივობა/სტრატეგია და დასაბუთებულია/განმარტებულია, რატომ იქნება ეფექტიანი ამ სტრატეგიის გამოყენება. (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.112).

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*




***განმარტება.*** მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტი გვთავაზობს ადეკვატურ მიდგომას – აღწერილია კონკრეტული ქმედებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოსწავლეთათვის ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთების სწავლება. ამასთან მოცემულია განმარტება, რატომ არის ეს სასწავლო ქმედებები შედეგიანი. აპლიკანტი სრულად უპასუხებს დავალების ორივე მითითებას და შეფასების სქემის შესაბამისად იმსახურებს მაქსიმალურ ქულას.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*




***განმარტება.*** ამ შემთხვევაში აპლიკანტს აღწერილი აქვს კონკრეტული სასწავლო ქმედებები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მასალიდან მნიშვნელოვანი, არსებითი ინფორმაციის იდენტიფიცირებასა და ხარისხიანი ჩანაწერის გაკეთებაში (ანუ მოცემულია სრული პასუხი პირველ მითითებაზე), მაგრამ არ განმარტავს რატომ მიიჩნევს ეფექტიანად ამ ქმედებებს. მოყვანილი არგუმენტი ნაწილობრივ ცდება დავალების პირობას – ხარისხიანი ჩანაწერის გაკეთებისათვის აღწერილი ქმედებების ღირებულების ჩვენების ნაცვლად საუბარია მოსწავლის მიერ მასალის ხანგრძლივად დამახსოვრებაზე. შეფასების სქემის თანახმად ამგვარი პასუხი ფასდება 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*


28. ბავშვებს რომ ვასწავლოთ ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება, ამისათვის უნდა შევიმუშაოთ ისეთი გეგმა, სქემა, რომელიც დაეხმარება მათ ამის გაკეთებაში. ეს შესწავლებულმა უნდა მისცეს მიმართულება, რადგან ყველაფერს აქვს თავისი წესები წესი და მიმართულება. როგორც შევასრულებთ სქემები ასისტენტს, ასევე შეიძლება ჩანაწერებზეც შევიმუშაოთ სქემა, მონახაზი.

***განმარტება.*** მოცემული ნიმუში შეფასებულია ერთი ქულით, ვინაიდან აპლიკანტის მსჯელობა ნაწილობრივ ცდება დავალების მითითებებს. პასუხის პირველ ნაწილში მოცემულია პირველი მითითების პერიფრაზი – ჩანაწერების გაკეთების სწავლების კონკრეტული აქტივობის/მიდგომის აღწერის ნაცვლად აპლიკანტი ზოგადად მიუთითებს, რომ პედაგოგმა მოსწავლეებს მიმართულება უნდა მისცეს. აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს ერთ ადეკვატურ აქტივობას (*ზოგადი სქემის, მონახაზის შემუშავება*), რომელიც ხელს უწყობს ხარისხიანი ჩანაწერის გაკეთებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პასუხი სქემატურია და არ არის განმარტებული, არ არის გამყარებული ერთი რელევანტური არგუმენტით მაინც.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** ნიმუშებში №№4, 5 ნაჩვენები პასუხები შეფასებულია 0 ქულით. აპლიკანტების მსჯელობა ორივე შემთხვევაში სცდება დავალების პირობას და არ არის მითითებების რელევანტური. წარმოდგენილი პასუხები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში კარგად ჩანს ამ დავალების შესრულების დროს

დაშვებული ტიპური შეცდომები. პირველ შემთხვევაში (ნიმუში №4) აპლიკანტი გვთავაზობს დავალების შეუსაბამო აქტივობას (*თვითშეფასების სქემების შევსება მოსწავლეების მიერ*), ამასთან არ განმარტავს რატომ მიიჩნევს მას ადეკვატურად. მსჯელობაში მხოლოდ მითითებულია, რომ ამგვარად მოსწავლეები ისწავლიან ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთებას. მეორე ნიმუშში (№5) აპლიკანტი აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმაზე, რომ მასწავლებელმა თავად უნდა იცოდეს ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება. პასუხი არც ამ შემთხვევაშია განმარტებული.

ამგვარი პასუხით რთულია დაასკვნა, რომ აპლიკანტს გააჩნია საკითხის გარკვეული ცოდნა. შეფასების სქემიდან გამომდინარე პასუხი ფასდება 0 ქულით.

## დავალება №28-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **არასწორი აქცენტები.** სტრატეგიის ადეკვატურობის დასაბუთებისას აპლიკანტები საუბრობენ იმაზე, თუ რით არის ეს სტრატეგია მნიშვნელოვანი თავად მასწავლებლისათვის (ეხმარება მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვაში, საკუთარი საქმიანობის რეფლექსიაში), რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ უპასუხოდ რჩება დავალების კითხვა, რას აძლევს აღწერილი ქმედება მოსწავლეს.
- **ზოგადი მსჯელობები.** მასწავლებელთა ნაწილი ზოგადად მსჯელობს ჩანაწერების მნიშვნელობაზე, მაგრამ არ აღწერს კონკრეტულ სტრატეგიას, რაც არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, იცის თუ არა აპლიკანტმა საკითხი.
- **დავალების პირობის არასწორი გააზრება.** ჩამოთვლილ ტიპურ შეცდომათაგან ყველაზე ხშირად გვხვდებოდა სწორედ ამ ტიპის შეცდომები, როდესაც აპლიკანტები მოსწავლის მიერ სწავლის პროცესში ჩანაწერების გაკეთებას აიგივებდნენ თვითშეფასების ცხრილების შევსებასთან; აპკლიკანტთა ნაწილი კი თვითშეფასების ცხრილების შევსებას ასახელებდა, როგორც ჩანაწერების ხარისხიანობის გაუმჯობესების სტრატეგიას.

### რეკომენდაცია

ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ რ. ჯ. მარზანო, „ეფექტური სწავლება სკოლაში“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009, გვ. 49-56); „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2008, გვ. 38-64).

## დავალება 40

*მაქსიმალური ქულა – 3*

*მასწავლებელი მოსწავლის შესაფასებლად ამგვარ კომენტარებს იყენებს:*

*„შენგან არავითარი ხეირი არ არის“,*

*„შენ მხოლოდ პრობლემების შექმნა შეგიძლია“,*

*„ძირითადად, იმას აკეთებ, რომ ხელს გვიშლი“...*

*მოსწავლე შეგუებულია ასეთ მიდგომას, უკვე მასწავლებლის თვალით აფასებს საკუთარ თავს და აღარ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, რადგან დარწმუნებულია, რომ მასწავლებელი არ ცდება.*

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია **როჯერსის ჰუმანისტურ თეორიაზე** დაყრდნობით. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **დაასახელეთ,** როჯერსის თეორიის მიხედვით, პიროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვან რომელ პირობას არ ითვალისწინებს პედაგოგი აღწერილ სიტუაციაში.
- **ახსენით,** რა გავლენას ახდენს პედაგოგის ამგვარი შეფასება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

**იმ შემთხვევაში, თუ როჯერსის თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

***რას ვაფასებთ***. მოცემული დავალება აფასებს იმას, თუ რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი როჯერსის ჰუმანისტურ თეორიას და შეუძლია თუ არა ამ ცოდნის გამოყენება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. როჯერსის ჰუმანისტური თეორიის მიხედვით, ადამიანის ძლიერი თვითაქტუალიზაციის ტენდენცია მიმართავს მის ძალისხმევას ზრდისა და განვითარებისაკენ, რისთვისაც მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი სამყაროს, სხვას და საკუთარ თავს; როგორ ყალიბდება მისი წარმოდგენები და რა ფაქტორები ახდენს გავლენას ამ პროცესზე.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა დაასახელოს, როჯერსის თეორიის თანახმად რომელი პირობა არ გაითვალისწინა პედაგოგმა აღწერილ სიტუაციაში და (2) უნდა იმსჯელოს, თუ როგორ იმოქმედებს მასწავლებლის ამგვარი ქცევა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ორივე მითითებაზე სრულად არის

გაცემული პასუხი და ჩანს როჯერსის თეორიის ცოდნა (დავალების შეფასების სქემა იხ. დანართი №3, გვ.113).

მე-40 დავალების პრინციპების უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ნიმუშებს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი როჯერსის თეორიის მიხედვით სწორად ასახელებს პიროვნული განვითარებისათვის მნიშვნელოვან პირობას – „მე-კონცეფციის“ ფორმირებას. ასევე, განმარტავს, თუ რატომ უნდა შეიკავოს პედაგოგმა თავი მსგავსი კომენტარებისაგან და რა შედეგი მოჰყვება მის ამგვარ ქმედებას. აპლიკანტი მსჯელობს, რომ პედაგოგის ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება მოსწავლის საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაზე, შეიძლება ბავშვს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვის შეეპაროს, ხელი ჩაიქნიოს და აღარ ეცადოს მდგომარეობის გამოსწორებას. მოცემული ნიმუში დავალების პირობის ადეკვატური და ამომწურავია. აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას და, ამასთან, ავლენს როჯერსის თეორიის ცოდნას. ამიტომ პასუხი შეფასდა მაქსიმალური – 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი, როჯერსის თეორიის მიხედვით, სწორად ასახელებს პიროვნული განვითარებისათვის მნიშვნელოვან პირობას - „მე-კონცეფციის" ჩამოყალიბებას. სწორად მიუთითებს მასწავლებლის ფუნქციაზე და ხაზს უსვამს მასწავლებლის მიერ დადებითი შეფასების მნიშვნელობას. პასუხში გამოყენებულია როჯერსისეული ტერმინები, რაც თეორიის გარკვეულ ცოდნაზე მიუთითებს. თუმცა, მსჯელობა შედარებით სქემატურია და არც ერთ მითითებაზე პასუხი არ არის სრულყოფილი, აკლია არგუმენტაციის სიცხადე. შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტი სქემატურად უპასუხებს დავალების მხოლოდ პირველ მითითებას, მეორე მითითება არ არის გათვალისწინებული - პასუხში კარგად არ ჩანს, თუ რატომ ხდება მოსწავლე დემოტივირებული და პასიური. აპლიკანტის პასუხი ძალიან სქემატურია, მსჯელობა, როჯერსის თეორიის შესაბამისად, არ არის თანმიმდევრული. არ ჩანს თეორიის სრულყოფილი ცოდნა. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*



***განმარტება.*** მოცემულ პასუხში აპლიკანტის მსჯელობა სწორია, თანმიმდევრული და ლოგიკური, თუმცა მასში არ ჩანს როჯერსის თეორიის ცოდნა. პედაგოგი პასუხს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აგებს. შეფასების სქემის შესაბამისად, პასუხი იმსახურებს 1 ქულას.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



***განმარტება.*** მოცემული ნიმუში არ უპასუხებს დავალების მითითებებს. აპლიკანტი ძირითადად დავალების პირობის პერიფრაზს გვთავაზობს. აპლიკანტი არ განმარტავს, რა განაპირობებს მოსწავლისათვის ამ უარყოფით შედეგებს (ბავშვი *ამ დროს უფრო უარესობისკენ მიემართება*), ამიტომ, წარმოდგენილი ნიმუშის საფუძველზე, შეუძლებელია ვიმსჯელოთ, რამდენად ღრმად იცნობს აპლიკანტი როჯერსის თეორიას, ან შეძლებს თუ არა ის პრობლემის მოგვარებას თუნდაც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

## დავალება №40-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **სქემატური პასუხები.** დავალების მითითებებზე პასუხები ხშირად სქემატურია – მსჯელობაში ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი, ან აპლიკანტი ზედაპირულად უპასუხებს მეორე მითითებას – მკაფიოდ არ ხსნის, თუ როგორ იმოქმედებს პედაგოგის ქმედება (აღწერილი მოცემულ სიტუაციაში) ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე.

***რეკომენდაცია***

როჯერსის თეორიის უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „განვითარებისა და სწავლის თეორიები" (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 169-170), „როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის" (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008, გვ. 125-128), „ჰუმანისტური თეორია" (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012).

## ღიადაბოლოებიანი დავალებების შესრულებისას ხშირად დაშვებული შეცდომები

- **შინაარსიის რელევანტურობა.** ღიაბოლოიანი დავალების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია შინაარსიის რელევანტურობა – იმისათვის, რომ ყველა სხვა კრიტერიუმით დავალება შეფასდეს, იგი, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს და პასუხობდეს თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. აპლიკანტთა ნაწილი ყურადღებას არ აქცევდა თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. შედეგად ვიღებდით შეუსაბამო, არარელევანტურ პასუხს. **იმისათვის, რომ დავალება გასწორდეს პასუხი უნდა შეესაბამებოდეს კითხვას.**
- **ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ.** აპლიკანტების მიერ დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა არის ის, რომ დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად, აპლიკანტები საკითხის შესახებ ზოგადად მსჯელობენ – საუბრობენ თემის მნიშვნელოვნებაზე, მის როლზე მასწავლებლის პროფესიაში და ა.შ. ხშირად პრობლემის დაძლევის **კონკრეტული** გზების აღწერის ნაცვლად აპლიკანტები შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზებით. ამგვარ ფრაზებში არ ჩანს პედაგოგის კომპეტენცია და უნარები. ზოგადი პასუხი არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად შეუძლია აპლიკანტს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.
- **დავალების მითითების უგულებელყოფა**. ღიადაბოლოებიან დავალებათა უმეტესობა აპლიკანტისაგან მრავალკომპონენტიან პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი ამომწურავად უპასუხებდეს პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს. პასუხები, რომლებშიც დავალების პირობის მხოლოდ ნაწილია შესრულებული, არ მიიჩნევა სრულად და ერთ-ერთ კომპონენტზე სწორი და სრული პასუხის შემთხვევაშიც კი, არ ფასდება მაქსიმალური ქულით. ჩვეულებრივ, აპლიკანტები უფრო ხშირად ასახელებენ პრობლემის გადაჭრის გზას, მაგრამ *იშვიათად გვხვდება დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები.*
- **დავალებაში აღწერილი სიტუაციის პერიფრაზირება.** აპლიკანტის ნაშრომებში ხშირად მოცემულია დავალების პირობაში წარმოდგენილი ინფორმაციის ციტირება ან პერიფრაზი. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიის აღწერის ნაცვლად, აპლიკანტები ყოველგვარი კომენტირებისა და ინტერპრეტაციის გარეშე აღწერენ სიტუაციას. ამგვარი პასუხები ითვლება არაადეკვატურად და შეფასების სქემის თანახმად, ყოველთვის 0 ქულით ფასდება.

- **დავალების პირობის გააზრების პრობლემა.** ზოგიერთი აპლიკანტი არ უკვირდება დავალების პირობას (მაგალითად, დავალების პირობაში საუბარია გაკვეთილის შეჯამებაზე, ხოლო აპლიკანტი მსჯელობს შემაჯამებელი შეფასების შესახებ), ერთმანეთში ურევს ცნებებს, შესაბამისად პასუხი არარელევანტურია და ფასდება 0 ქულით.

ამგვარი პრობლემების თავიდან ასარიდებლად, გთავაზობთ მასწავლებელთა ნამუშევრებში არსებული ხარვეზებისა და ტიპური შეცდომების გათვალისწინებით შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღიადაბოლოებიან დავალებებზე მუშაობის დროს; გაითვალისწინეთ, რომ დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორადაა გააზრებული, (2) არ წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს.

***რეკომენდაციები***

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალება, საკითხზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.
- დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ, რას მოითხოვენ თქვენგან; დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს თქვენგან დავალება. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას/მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ორი პასუხი. მესამე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის შესახებ ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში.
- სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ტესტის ბუკლეტში შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრული პასუხი. **მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი.** ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის. **გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისთვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.**

# დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

ტესტური დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ გამოყენებულია იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. ამ ტიპის დავალებაში აღწერილია გარკვეული სიტუაცია (დავალების პირობა), შემდეგ კი მოცემულია რამდენიმე დებულება. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელოს თანდართული დებულებების ჭეშმარიტება-მცდარობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მოცემულ დებულებას მცდარად მოიიჩნევს, მას მოეთხოვება, ჩაწეროს იგი სწორი ფორმით და, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განმარტოს, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დავალება (გაასწოროს შეცდომა).

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დებულებას ჭეშმარიტად მიიჩნევს, მას მოეთხოვება მხოლოდ შესაბამისი პასუხის მონიშვნა დასაბუთების ან კომენტარის გარეშე.

***შეფასების კრიტერიუმები.*** პროფესიული უნარების ტესტში გამოყენებული „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებები (№41-45 და №46-50) 5-ქულიანია. დავალების პირობაში აღწერილია სიტუაცია (შემთხვევა) სასკოლო ცხოვრებიდან, რომელსაც მოჰყვება ხუთი დებულება. აპლიკანტს მოეთხოვება მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით შეაფასოს თითოეული დებულების ჭეშმარიტობა-მცდარობა. ყოველ სწორ პასუხში იწერება 1 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი რომელიმე დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება ჩაწეროს იგი სწორი ფორმით, ანუ განმარტოს, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „მცდარია“ პასუხი ფასდება ერთი ქულით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უჯრის მონიშვნასთან ერთად აპლიკანტი აკეთებს სწორ კომენტარს (შეფასების სქემა იხ. გვ. 115-118, დანართი 3).

საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ აპლიკანტებს 2013 წელს ჩატარებულ გამოცდაზეც შეექმნათ სირთულეები დავალების იმ ნაწილის შესრულებისას, რომელიც მცდარად მოცემული დებულების კორექტულად ჩაწერას მოითხოვდა. ამიტომაც, თქვენს ყურადღებას ამჯერადაც მათზე გავამახვილებთ.

## დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

*ნინო ერთი-ერთი საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და VII კლასის დამრიგებელია. მან კონკურსში გაიმარჯვა და ლონდონში კვალიფიკაციის ასამაღლებელ ექვსთვიან კურსებზე სწავლის დაფინანსება მოიპოვა. სკოლაში მუშაობის რვა წლის განმავლობაში ნინოს უხელფასო შვებულებით არ უსარგებლია, ამდენად, მან სკოლის დირექციას სთხოვა სამუშაო ადგილის შენარჩუნება, რაზედაც თანხმობა მიიღო.*

*ლონდონიდან დაბრუნებულმა ნინომ სკოლაში მუშაობა განაგრძო. ვინაიდან ამ დროს სკოლაში ყველა კლასს ჰყავდა დამრიგებელი, დირექტორმა მერვე კლასი შუაზე გაყო (15-15 მოსწავლე) და ერთ-ერთი განაყოფის დამრიგებლად ნინო დანიშნა. სადამრიგებლო კლასისთვის ნინომ მოსწავლეები ინგლისურ ენაში აკადემიური მოსწრების საფუძველზე შეარჩია და სწავლის დაწყებამდე მშობელთა კრება მოიწვია.*

*შეხვედრაზე მასწავლებელმა მშობლებს დეტალურად გააცნო თავისი გეგმა და მიზნები. მოკლედ მიმოიხილა უცხოური ენის სწავლების უახლესი მეთოდები, რომლებიც ბრიტანეთში შეისწავლა და რომელთა პრაქტიკაში დანერგვასაც აპირებდა; მშობლებს ასევე უთხრა, რომ ძველი სახელმძღვანელოს შეცვლას გეგმავს და მათ ასარჩევად წარუდგინა ორი სახელმძღვანელო, რომლებიც თავად ჩამოიტანა ბრიტანეთიდან. მშობლები მისი შემოთავაზებით კმაყოფილები დარჩნენ და ერთობლივი მსჯელობის შედეგად შეარჩიეს ინგლისური ენის ახალი სახელმძღვანელო.*

41. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება სკოლის დირექციისათვის მოეთხოვა უხელფასო შვებულება და სამუშაო ადგილის შენარჩუნება 6 თვის განმავლობაში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

42. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია გაყოს კლასი, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა იქნება 15.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებელს არ ჰქონდა აკადემიური მოსწრების საფუძველზე მოსწავლეთა დიფერენცირებისა და სადამრიგებლო კლასისთვის მოსწავლეების შერჩევის უფლება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

44. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაუშვებელია ერთი სკოლის პარალელურ კლასებში სხვადასხვა სახელმძღვანელოთი სწავლება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

45. დაუშვებელია სახელმძღვანელოს შერჩევა მხოლოდ მშობლებთან კონსულტაციის შედეგად, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

---

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს“ (მუხლი: 21) და „ეროვნულ სასწავლო გეგმას“ (მუხლი: 4, 32, 10). ***აპლიკანტს არ მოეთხოვება მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით (მუხლობრივად/ პუნქტობრივად) ცოდნა.*** დავალების მიზანია განსაზღვროს, იცის თუ არა აპლიკანტმა პროფესიის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ძირითადი, საკვანძო პრინციპები.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად განვიხილოთ პასუხის რამდენიმე ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 5 ქულით.*


III - პროფესიული გარემო

41 – 45

41. ჭ ☐ მ ☒ [illegible]

42. ჭ ☐ მ ☒ [illegible]

43. ჭ ☒ მ ☐

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

***განმარტება.*** აპლიკანტი სწორად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ხუთივე დებულებას. პასუხები სწორად არის მონიშნული, ამასთან „მცდარია“ დებულებებისთვის წარმოდგენილია ადეკვატური და ამომწურავი მსჯელობები. პასუხი შეფასდა მაქსიმალური ქულით. დებულება 41-ის შემთხვევაში აპლიკანტს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან სრულად არ მოჰყავს შესაბამისი პუნქტი, მაგრამ ვინაიდან, აპლიკანტი საკუთარ მსჯელობაში ყურადღებას

ამახვილებს ამ პუნქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე (*მასწავლებელს 6 წელიწადში ერთხელ უფლება აქვს მოითხოვოს უხელფასო შვებულება*), მისი პასუხი სწორად ჩაითვალა და შეფასდა 1 ქულით. ასევე, დებულება 42-ის შემთხვევაში აპლიკანტი სიტყვა-სიტყვით არ იმეორებს ჩანაწერს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან, მაგრამ მისი მსჯელობა გადმოსცემს შესაბამისი პუნქტის ძირითად არსს (*დაყოფა შესაძლებელია, თუ კლასში 36 მოსწავლეზე მეტია*), ამდენად, ეს პასუხიც შეფასდა 1 ქულით. როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობის სწორედ ამგვარი, ძირითადი პრინციპების დონეზე ცოდნა, სრულიად საკმარისია „ჭეშმარიტია-მცდარია“ დავალებებში მაქსიმალური შეფასების მისაღებად.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტს 41-ე დებულებაზე პასუხი შეფასებული აქვს 0 ქულით, რადგან „მცდარიას“ ნაცვლად მონიშნული აქვს პასუხი – „ჭეშმარიტია“. იგი სწორად და ამომწურავად უპასუხებს დავალების 42-ე დებულებას და „ჭეშმარიტია“ პასუხები (43, 44 და 45) სწორად აქვს მონიშნული, შესაბამისად აპლიკანტის პასუხი იმსახურებს 4 ქულას.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



**განმარტება.** ეს ნიმუში მოგვყავს „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებებში ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომის – დავალების პირობის შებრუნების – საილუსტრაციოდ. „მცდარია“ პასუხის გასწვრივ სწორი კომენტარის ჩაწერის ნაცვლად, აპლიკანტი შებრუნებული ფორმით აყალიბებს დავალებაში მოცემული დებულების შინაარსს. დებულება 41-ის შემთხვევაში ზემოთ მოცემული ნიმუშის ავტორმა, იმის ნაცვლად, რომ მიეთითებინა, კონკრეტულად რა შემთხვევაში ანიჭებს მასწავლებელს მოქმედი კანონმდებლობა უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლებას, უბრალოდ უარყო დებულების შინაარსი. შეფასების სქემის თანახმად, ამგვარ შემთხვევებში აპლიკანტი არ იმსახურებს ქულას. წარმოდგენილი ნიმუშის ავტორმა 0 ქულა დაიმსახურა 42-ე დებულებაზე გაცემულ პასუხშიც, ვინაიდან, კლასში მოსწავლეთა მის მიერ მითითებული რაოდენობა არ ასახავს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულს (30-ზე მეტი ნებისმიერი რაოდენობა 36-მდე, კანონით დაშვებული არ არის).

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



III - პროფესიული გარემო

41 – 45

41. ჭ ☐ მ ☒ მოქმედი კანონმდებლობით [illegible] 15 დღ - 1 წლ.

42. ჭ ☒ მ ☐

43. ჭ ☒ მ ☐

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

**განმარტება.** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტმა 0 ქულა დაიმსახურა №41 და №42 დებულებებზე პასუხში, რადგან მან №42 დებულებაზე პასუხი არასწორად მონიშნა, ხოლო №41 დებულებაზე მიუთითა ბუნდოვანი კომენტარი – რთული გასარკვევია რას ნიშნავს ჩანაწერი: „15 დღ-1 წლ“ – (1) „წელიწადში ერთხელ 15 დღით“ თუ (2) „15 დღიდან 1 წლამდე ვადით“ უხელფასო შვებულების მოთხოვნის უფლებას? მიუხედავად იმისა, რას გულისხმობს აპლიკანტი, მოქმედი კანონმდებლობით ვერც ერთი პასუხი ვერ ჩაითვლება სწორად. აპლიკანტს სწორად აქვს მონიშნული №№43, 44 და 45 დებულებებზე პასუხები, შესაბამისად ნაშრომი შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*


41 – 45
III - პროფესიული გარემო
41. ჭ ☐ მ ☒
42. ჭ ☒ მ ☒
43. ჭ ☒ მ ☐
44. ჭ ☒ მ ☐
45. ჭ ☒ მ ☐

**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*


41 – 45
III - პროფესიული გარემო
41. ჭ ☐ მ ☒
42. ჭ ☐ მ ☒
43. ჭ ☒ მ ☐
44. ჭ ☒ მ ☐
45. ჭ ☒ მ ☐

***განმარტება.*** ნიმუშები №5 და №6 „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებებზე მუშაობისას ორი, საკმაოდ ხშირად დაშვებული შეცდომის ილუსტრაციას წარმოადგენს. №5 ნიმუშის დებულება 42-ში აპლიკანტმა „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“ პასუხებიდან რომელიმე ერთის არჩევის ნაცვლად, მონიშნა ორივე პასუხი. დავალების პირობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში არც ერთი პასუხი არ მიიჩნევა სწორად და ფასდება ნული ქულით. შეფასების სქემის თანახმად, დებულება 41-ზე სწორი პასუხი არის „მცდარია“, შესაბამისად, იგი აპლიკანტისგან მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებულ სწორ კომენტარსაც მოითხოვს. როგორც ვხედავთ, ნიმუშში ასეთი კომენტარი არ არის წარმოდგენილი. საკმაოდ გავრცელებული შეცდომაა №6 ნიმუშშიც. აპლიკანტმა სწორად მონიშნა პასუხი „მცდარია“ 41-ე და 42-ე დებულებებზე, თუმცა არც ერთს არ დაურთო კომენტარი და შესაბამისად, პასუხი ორივე დებულებაზე შეფასდა 0 ქულით.

## დავალებები №46– 50 შემდეგ პირობას ეყრდნობა

*ახალგაზრდა ფსიქოლოგმა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მომუშავე ახლობელ პედაგოგს, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრია, დახმარების თხოვნით მიმართა. მას კვლევისათვის ესაჭიროებოდა VII–VIII კლასების მოსწავლეების გამოკითხვა. პედაგოგი საკვლევმა თემამ (კონფლიქტი ოჯახში) დააინტერესა და ფსიქოლოგს დახმარება აღუთქვა. მან მიიღო დირექტორის ნებართვა სკოლაში კვლევის ჩატარების თაობაზე. კვირის ბოლოს მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები ინფორმატიკის კაბინეტში შეიყვანა, ახალგაზრდა ფსიქოლოგი წარუდგინა, კვლევის მიზნები გააცნო და მათგან მოითხოვა ანკეტაზე გვარის მითითება. მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ არასასკოლო აქტივობაში. ზოგიერთზე ამ საქმიანობამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შინ მისულმა მშობლებს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.*

*ორშაბათს სკოლის დირექციას განცხადებით მიმართა მომხდარი ფაქტით აღშფოთებულმა ერთ-ერთმა მშობელმა. მან უკმაყოფილება ორი მიზეზის გამო გამოთქვა: (1) რა უფლებით შეიტანა მკვლევარმა კითხვარში ისეთი კითხვები, როგორიცაა: „რამდენად ხშირია თქვენს ოჯახში კონფლიქტი?“, „უფრო ხშირად ვინ არის თქვენს ოჯახში კონფლიქტის ინიციატორი?“ და (2) კითხვარის შევსებამდე რატომ არ განუმარტეს მოსწავლეებს მათი უფლებები (ისინი არ იყვნენ ვალდებულნი, რომ ანკეტაზე მიეთითებინათ საკუთარი ვინაობა). მშობელი კატეგორიულად მოითხოვდა სკოლის პედაგოგის დასჯას. ამ ფაქტს ისიც დაერთო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ინფორმატიკის მასწავლებელმა დირექციას აცნობა, რომ ინფორმატიკის კაბინეტში კვლევის ჩატარების შემდეგ ორი კომპიუტერი დაზიანებული აღმოჩნდა.*

*დირექტორმა კომპიუტერების დაზიანების საკითხი განსახილველად გადასცა დისციპლინურ კომიტეტს, რომელმაც ტექნიკის დაზიანების გამო კვლევაში მონაწილე მოსწავლეებს დააკისრა სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დღეში 2 საათით. დისციპლინურმა კომიტეტმა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობა მოსწავლეების მშობლებს. ამასთან, დირექტორმა მოიწვია სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც უნდა განხილულიყო საბჭოს წევრი მასწავლებლის საკითხი.*

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებელი ვალდებული იყო, მოსწავლეთათვის კითხვარის შევსებამდე გაეცნო მათი უფლებები და თავისუფლებები.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაცია ხელშეუხებელია და პედაგოგს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა მოსწავლეებისაგან ანკეტაზე ვინაობის მითითება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

48. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის დირექტორი იყო უფლებამოსილი, მოეწვია სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

49. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინურ კომიტეტს უფლება ჰქონდა, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის, დისციპლინური სახდელის სახით, დაეკისრებინა სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის შესრულება დღეში 2 საათით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

50. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური კომიტეტი არ იყო ვალდებული, მშობლებისთვის ეცნობებინა გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს, კერძოდ „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს" (მუხლი: 10, 17, 19 და 37). ***აპლიკანტს არ მოეთხოვება მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით (მუხლობრივად/პუნქტობრივად) ცოდნა.*** დავალების მიზანია განსაზღვროს, იცის თუ არა აპლიკანტმა პროფესიის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ძირითადი, საკვანძო პრინციპები.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად განვიხილოთ პასუხის რამდენიმე ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 5 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტი სწორად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ხუთივე დებულებას. პასუხები სწორად არის მონიშნული, ხოლო „მცდარია“ დებულებებისთვის (№48 და №50) წარმოდგენილია ადეკვატური და ამომწურავი პასუხები. შესაბამისად, პასუხი შეფასდა მაქსიმალური 5 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტს 50-ე დებულებაზე პასუხი შეფასებული აქვს 0 ქულით, რადგან „მცდარიას“ ნაცვლად მონიშნული აქვს პასუხი – „ჭეშმარიტია“. იგი სწორად მონიშნავს და ამომწურავად უპასუხებს დავალების 48-ე დებულებას და „ჭეშმარიტია“ პასუხები (№46, №47 და №49) სწორად აქვს მონიშნული, შესაბამისად აპლიკანტის პასუხი იმსახურებს 4 ქულას.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტს სწორად აქვს მონიშნული „ჭეშმარიტია" პასუხები (№46, №47 და №49). აპლიკანტს 0 ქულით აქვს შეფასებული 48-ე და 50-ე დებულებებზე გაცემული პასუხები. რადგან 50-ე დებულებაზე „მცდარიას" ნაცვლად მონიშნული აქვს პასუხი – „ჭეშმარიტია", ხოლო 48-ე დებულებაზე მან სწორად მონიშნა პასუხი „მცდარია", მაგრამ მისი კომენტარი არ არის სწორი – მოქმედი კანონმდებლობით რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს სამეურვეო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს და არა საბჭოს თავმჯდომარეს. აქედან გამომდინარე, აპლიკანტის პასუხი იმსახურებს 3 ქულას.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტს პასუხები სწორად აქვს მონიშნული. №48 დებულებაზე პასუხში აპლიკანტი უშვებს ყველაზე გავრცელებული ტიპურ შეცდომას, როცა ის დებულებას წერს არა მართებული, არამედ, უბრალოდ შებრუნებული ფორმით (*უფლებამოსილია – არ არის უფლებამოსილი*). №50 დებულებას აპლიკანტი „მცდარად" აფასებს, თუმცა იგი აქაც, სწორი კომენტარის გაკეთების ნაცვლად უბრალოდ უარყოფს მოცემულ მსჯელობას - შებრუნებული ფორმით აყალიბებს

დებულების შინაარსს (*დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია აცნობოს მშობელს გამოტანილი გადაწყვეტილება*). მსგავსი პასუხით აპლიკანტი ეწინააღმდეგება საკითხის შესაბამის პუნქტებს კანონიდან, რადგანაც შეფასების სქემაში მითითებულ პუნქტებში ყველაზე არსებით საკითხს წარმოადგენს ის, რომ მშობელი საქმის კურსში უნდა იყოს სწორედ დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე და არა, მის შემდგომ. შესაბამისად, პასუხი 50-ე დავალებაზეც მიჩნეულია არასწორად და შეფასებულია 0 ქულით. აქედან გამომდინარე, აპლიკანტი იმსახურებს 3 ქულას.

**რეკომენდაციები დავალება „ჭეშმარიტია-მცდარიას“ შესრულებისათვის.**

- ყოველ კონკრეტულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს მოცემული პასუხის ორი ვარიანტიდან მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი („ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“);
- მცდარად ფორმულირებული პასუხის კორექტული ფორმით ჩაწერის დროს სრულიად საკმარისია, აპლიკანტმა გამოავლინოს, რომ მისთვის გასაგებია კანონის შესაბამისი ნორმის არსი. აპლიკანტს არ მოეთხოვება კანონის შესაბამისი მუხლების ან კონკრეტული პუნქტების მითითება.
- გაითვალისწინეთ, თუ დებულების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ მთლიანი დებულებაც მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ჭეშმარიტია.
- თავი აარიდეთ მოცემული დებულების შებრუნებას. პოზიტიური ფორმით ფორმულირებული დებულების (მაგალითად, დირექტორს უფლება ***აქვს***...) მხოლოდ უარყოფით ფორმაში გადაყვანა (დირექტორს უფლება ***არა აქვს***...) არ მიიჩნევა სწორ პასუხად, და – პირიქით. უნდა განიმარტოს, რისი უფლება აქვს ან არა აქვს პირს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

# ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:


- *განვითარებისა და სწავლის თეორიები.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *სწავლება და შეფასება.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *სასწავლო და პროფესიული გარემო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *ეფექტური სწავლება სკოლაში. მარზანო, რ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა.*
  გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010).
- *პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. თერნბული, ჯ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ინტერკულტურული განათლება. ტაბატაძე, შ., & ნაცვლიშვილი, ნ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. გოლობი, რ., ჰუდლესტონი, ტ., კრაფი, პ., როუვი, დ., & ტაელმანი, უ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. მარზანო, რ. ჯ., ნორფორდი, ჯ.ს., & დ'არქანჯელო, მ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *კლასის მართვა. მარზანო, რ.ჯ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისათვის*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- *კითხვის ეფექტური მეთოდები. გზამკვლევი*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- *როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ს. ჯანაშია,* et. al.,
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2007).
- *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ს. ჯანაშია, et. al.,*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).
- *ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, თ. პაჭკორია (რედ.),*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).
- *განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, ს. ჯანაშია*, et. al.,
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2007).
- *სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2007).
- *როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები.*
  *გამოცდების ეროვნული ცენტრი, (2008).*

# დანართი 1

## *საგამოცდო პროგრამა*

## *(პროექტი)*

## I. განვითარებისა და სწავლის თეორიები - 15%

მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

სწავლის ძირითადი თეორიები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

| | |
|---|---|
| კონსტრუქტივიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| ბიჰევიორიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| კოგნიტური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| სოციალური დასწავლის თეორა; | ძირითადი პოსტულატები |
| სოციო-კულტურული თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მორალური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| ჰუმანისტური თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მრავალმხრივი ინტელექტის თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| განწყობის თეორია | ძირითადი პოსტულატები |

## ავტორები

ჟან პიაჟე – *ინტელექტის განვითარების თეორია*

- კოგნიტური სქემები; კოგნიტური სქემების ფორმირება:
  - ასიმილაცია,
  - აკომოდაცია,
  - კოგნიტური წონასწორობა;
- განვითარების სტადიები და მათი თავისებურებები:
  - სენსომოტორული სტადია
  - ოპერაციამდელი სტადია
  - კონკრეტული ოპერაციების სტადია
  - ფორმალური ოპერაციების სტადია
- ბავშვის განვითარების თავისებურებების გათვალისწინება სწავლისა და სწავლების პროცესში.

| | |
|---|---|
| ლევ ვიგოტსკი – *განვითარების სოციალურ –კულტურული თეორია* | • განვითარების სოციალური და კულტურული ფაქტორები.<br>• ბავშვის კოგნიტური განვითარება – განვითარების აქტუალური ზონა, განვითარების უახლოესი ზონა.<br>• ბავშვის განვითარების ხელშეწყობა – მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონის აქტუალური განვითარების ზონად გარდაქმნის ხელშეწყობა. |
| ლორენს კოლბერგი – *მორალური განვითარების თეორია.* | • კოლბერგის მორალური განვითარების ძირითადი დონეები:<br>- პრეკონვენციური<br>- კონვენციური<br>- პოსტკონვენციური<br>• მოსწავლეთა მორალური განვითარების დონის დადგენა.<br>• მოსწავლეთა მორალური განვითარების ხელშეწყობა. |
| ალბერტ ბანდურა – *სოციალურ –კოგნიტური დასწავლის თეორია* | • სოციალური მოდელირება (მოდელის თვისებები).<br>• დაკვირვებით სწავლა<br>- ყურადღების პროცესები<br>- მნემური პროცესები (დამახსოვრება)<br>- ქცევის ფორმირების პროცესები (გამეორება)<br>- მოტივაციური პროცესები<br>• ქცევისა და გარემოს ურთიერთმიმართება<br>• სოციალური ფაქტორების გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში. |
| ბერას ფ. სკინერი – *ოპერანტული განპირობებულობის თეორია* | • სკინერის თეორიის ძირითადი პოსტულატები.<br>• ოპერანტული განპირობებულობა.<br>• პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები.<br>• პოზიტიური და ნეგატიური დასჯა.<br>• მოტივირების ბიჰევიორისტული ფორმები.<br>• თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| აბრაჰამ მასლოუ – *მოტივაციის იერარქიული თეორია* | • მოთხოვნილებათა იერარქია.<br>• თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |

| | |
|---|---|
| დიმიტრი უზნაძე – *განწყობის თეორია* | ➘ ფუნქციონალური ტენდენცია.<br>➘ ადამიანის ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია:<br>- ინტროგენური.<br>- ექსტეროგენური.<br>➘ სწავლა-როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმა;<br>- თამაშით სწავლა.<br>➘ აღზრდის ძირითადი ტრაგედია.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| დევიდ პერკინსი – *განათლების თეორია:* | ➘ ადამიანის მეტაკოგნიტური განვითარება.<br>➘ ეფექტიანი სწავლების პრინციპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ჰოვარდ გარდნერი - *მრავალმხრივი ინტელექტის თეორია* | ➘ ინტელექტის ძირითადი ტიპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ჯერომ ბრუნერი – *აღმოჩენებით სწავლის თეორია* | ➘ ფაქტორები, რომელიც განაპირობებს აღმოჩენებით სწავლის ეფექტურობას:<br>- განწყობა,<br>- სწავლისადმი მზაობა,<br>- სწავლის მრავალფეროვნება,<br>- სპირალური კურიკულუმი.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ჯონ დიუი – *სწავლა გამოცდილებით* | ➘ სკოლა-ლაბორატორია და სწავლა გამოცდილებით.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| კარლ როჯერსი – *ჰუმანისტური მიდგომა და სწავლა გამოცდილებით.* | ➘ მე-კონცეფცია და თვითაქტუალიზაცია.<br>➘ მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი (ხელის შემწყობი).<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ბენჯამინ ბლუმი *განათლების მიზნების ტაქსონომია* | ➘ განათლების მიზნების ტაქსონომია.<br>➘ კოგნიტური, აფექტური და ფსიქომოტორული სფეროების დონეები<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| მარია მონტესორი – *მონტესორის სკოლა* | ➘ სწავლების ძირითადი პრინციპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |

## II. სწავლება და შეფასება - 65%

### 1. სასწავლო გარემო

1.1. ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.
- ინდივიდუალური მიდგომები და სასწავლო გეგმები
- მულტიკულტურული და მულტილინგვური მიდგომები

1.2. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და პრინციპები.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა:
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები
  - განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები

1.3. თითოეული მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა:
- ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება
- ემოციური განვითარების ხელშეწყობა
- კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება
- მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება
- დამოუკიდებელი აზრის თავისუფლად გამოხატვა.

1.4. სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფექტიანი სწავლებისათვის:
- სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების ადეკვატურად
- სასწავლო მიზნის და სწავლების მეთოდის ადეკვატური ფიზიკური გარემო

1.5. კლასის მართვის სტილი:
- დემოკრატიული
- ავტორიტარული
- ქაოსური

1.6. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება.

1.7. მოსწავლეთა ქცევის მართვა ჯგუფებში, წყვილებში, დისკუსიის დროს.

1.8. გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები

1.9. მოსწავლეებისთვის საკუთარი ქცევის შეფასების, თვითმართვის უნარის ჩამოყალიბება.

1.10. მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება.

1.11. მოსწავლეებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება – აუცილებელი ღირებულებების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

2. მოტივაცია და კომუნიკაცია

2.1. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

2.2. მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.

2.3. მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა.

2.4. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად.

- ვერბალური კომუნიკაცია
- არავერბალური კომუნიკაცია
- აქტიური მოსმენა
- კითხვების დასმა

2.5. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლები, კოლეგები და ა.შ.) ეფექტიანი თანამშრომლობისათვის

2.6. მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

2.7. მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.

3. სასწავლო პროცესი

3.1 სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.

3.2. გაკვეთილის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.

3.3. გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტები:

- სასწავლო მიზნები
- მოსწავლეთა შესაძლებლობები
- სასწავლო აქტივობები
- დროის განაწილება
- სასწავლო რესურსები და ა.შ.

3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება.

3.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გამოყენება.

3.6. სწავლების დაგეგმვა კოლეგებთან ერთად, საგანთა შორის კავშირების დამყარება.

4. შეფასების მეთოდები

4.1. შეფასების მიზნები.

4.2. შეფასების ტიპები:
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება
- მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება

4.3. შეფასების მეთოდები:
- ტესტირება
- პორტფოლიო
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება

4.4. შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება:
- შეფასების ძირითადი პრინციპები: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა

4.5. შეფასების შედეგების გამოყენება მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის და ა.შ.

5. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

5.1. სწავლების მეთოდები: პირდაპირი და არაპირდაპირი, ინდუქციური და დედუქციური, სოკრატული და სხვ.

5.2. საკლასო ორგანიზაციის მოდელები:

- საერთო საკლასო მუშაობა
- ინდივიდუალური მუშაობა
- ჯგუფური მუშაობა

5.3. სწავლების სტრატეგიების ეფექტური დაგეგმვა, გამოყენება და შეფასება;

- როლური თამაშები/სიმულაციები
- დისკუსია
- პრეზენტაცია
- პროექტები
- კოგნიტური სქემები/გრაფიკული ორგანიზატორები და ა.შ.

5.4. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები:

- კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშწყობა
- პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარების ხელშეწყობა
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა

5.5. სოციალური უნარების განვითარებისა და კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

## III. პროფესიული გარემო – 20%

| | |
|---|---|
| 1. კოლეგებთან ურთიერთობა | 1.1 მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა.<br>1.2 ახალბედა პედაგოგისთვის გამოცდილების გაზიარება.<br>1.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა:<br>- სასწავლო რესურსების მოძიება |
| 2. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა | 2.1. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა<br>2.2. მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენება თვითშეფასების მიზნით:<br>- საკუთარი პრაქტიკის კვლევა<br>- კოლეგების გამოცდილების გაზიარება |
| 3. სამართლებრივი აქტების ცოდნა | 3.1. საქართველოს კონსტიტუცია (მე-2 თავი):<br>- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლება.<br>3.2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.<br>3.3. ეროვნული სასწავლო გეგმა; სწავლებისა და სწავლის ძირითადი პრინციპები:<br>- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება<br>- საგანმანათლებლო რესურსები<br>- სასკოლო სასწავლო გეგმა<br>- მოსწავლის შეფასების სისტემა<br>- ინკლუზიური განათლება<br>- ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები<br>- სავალდებულო და არჩევითი საგნები<br>3.4. შრომის კოდექსი:<br>- შრომითი ხელშეკრულება<br>- შვებულება<br>- დასვენებით სარგებლობა<br>3.5. ბავშვთა უფლებების კონვენცია<br>3.6. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ დადგენილება. |

# დანართი 2

## *პროფესიული უნარების საგამოცდო*

# *ტესტი*

## *I ვარიანტი*

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა

# 2013

# პროფესიული უნარების ტესტი I

**ინსტრუქცია**

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი ტიპის დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიანი დავალება** ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან ***სწორია მხოლოდ ერთი.*** დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება,** რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“,** რომლებიც თქვენგან მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას მოითხოვს. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **ღიადაბოლოებიანი დავალებები,** რომლებიც თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

*თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*
*ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

*პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია*

**არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში** პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნავთ პასუხს, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება 0 ქულით შეფასდება.




**ღიადაბოლოებიანი დავალების შემთხვევაში** პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

# ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №1

*ანა ჰუმანიტარულ საგნებში დაბალ შეფასებებს იღებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მას უჭირს დიდი მოცულობის ტექსტების გააზრება.*

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი რჩევა დაეხმარება *ყველაზე მეტად* მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში?

ა) ტექსტის კითხვის დროს ხაზი გაუსვას საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს.
ბ) რამდენჯერმე ხმამაღლა წაიკითხოს ტექსტი და მოყვეს მისი მოკლე შინაარსი.
გ) ტექსტის კითხვის დროს მოიძიოს უცნობი სიტყვებისა და ტერმინების განმარტებები.
დ) დაყოს ტექსტი რამდენიმე ნაწილად, ამოკრიბოს ძირითადი ინფორმაცია და შეაჯამოს.

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №2

მასწავლებლის ამოცანაა სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის, ისე კლასის დანარჩენი მოსწავლეებისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში?

ა) სსსმ მოსწავლემ თავი კომფორტულად რომ იგრძნოს და თანაკლასელებსაც ხელი არ შეუშალოს, მიეცით მას გაკვეთილზე საქმიანობის არჩევის თავისუფლება. მაგალითად, თუ სურს, დაიწყოს ხატვა, დაფის გაწმენდა და/ან სხვა რამ.
ბ) სსსმ მოსწავლეს მიეცით მისი შესაძლებლობების შესატყვისი და გაკვეთილის კონტექსტიდან გამომდინარე დავალება. მაგალითად, თუ კლასი კითხულობს მოთხრობას ცხოველებზე, მას სთხოვეთ, დახატოს ცხოველი ან გააფერადოს შაბლონი.
გ) მოსწავლეების მიერ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების დროს სსსმ მოსწავლეს სთხოვეთ, იჯდეს წყნარად და ხელი არ შეუშალოს სხვას. ამგვარად ბავშვი ისწავლის გაკვეთილზე ქცევის ნორმების დაცვას.
დ) რთული თემების ახსნის დროს სსსმ მოსწავლე გადააბარეთ დამხმარე მასწავლებელს, რომელიც მას უკვე შესწავლილი საკითხების გამეორებაში დაეხმარება.

## დავალება №3

მოსწავლე უფრო ეფექტიანად სწავლობს მაშინ, როდესაც შეუძლია საკუთარი გონებრივი პროცესების მართვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებებია *ყველაზე მნიშვნელოვანი* იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი გონებრივი პროცესების მართვა?

I. ყურადღების მობილიზება და მისი ფოკუსირება შესასრულებელ დავალებაზე.
II. მეცადინეობისათვის განკუთვნილი დროის სწორად განაწილება და მონიტორინგი.
III. უფრო კომპეტენტური ადამიანების დახმარებით საკუთარი ქმედების სასწავლო მიზნებთან შესატყვისობის შეფასება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

## დავალება №4

სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. სასწავლო გეგმის ერთ-ერთი სახეს წარმოადგენს **საგნის გეგმა**.

ჩამოთვლილთაგან რომელი **არ** არის **საგნის გეგმის** აუცილებელი კომპონენტი?

ა) განსახილველი საკითხების დეტალური შინაარსი.
ბ) განსახილველი საკითხების სრული ჩამონათვალი.
გ) გამოსაყენებელი სასწავლო მეთოდების ჩამონათვალი.
დ) თითოეული საკითხის შესწავლისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა.

## დავალება №5

საგნობრივი ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

ჩამოთვლილთაგან რომელია ე.წ. *ღიადაბოლოებიანი* დავალების ნიმუში?

ა) „წაიკითხე წინადადება და შემოხაზე ნაცვალსახელები.“
ბ) „ჩამოთვლილთაგან რომელ წელს გამეფდა გიორგი ბრწყინვალე?“
გ) „გააანალიზე XI საუკუნის საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება.“
დ) „წაიკითხე წინადადება და ფრჩხილებში მოცემული ზმნა ჩასვი შესაბამის ფორმაში.“

## დავალება №6

*მასწავლებელმა მე-7 კლასის მოსწავლეებს შესწავლილი თემის შესაბამისი ამოცანა მისცა. მოსწავლეთა ნაწილმა ამოცანა სწორად ამოხსნა. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც არასწორი პასუხი მიიღეს, ამოცანის ამოსახსნელად ერთნაირი გზა ჰქონდათ არჩეული.*

მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება ***ყველაზე მეტად*** მოსწავლეებს, კარგად გაიგონ საკითხი და ამგვარი შეცდომა აღარ დაუშვან?

ა) მასწავლებელმა ბავშვებს დაავალა განვლილი მასალის გამეორება და სავარჯიშოდ მსგავსი ამოცანები მისცა.

ბ) მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა ის მოსწავლე, რომელმაც ამოცანა სწორი გზით ამოხსნა და ამოსახსნელად მისცა მსგავსი სირთულის ამოცანა.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად განიხილა ამოცანის ამოხნის როგორც სწორი, ისე მოსწავლეთა ნაწილის მიერ გამოყენებული არასწორი ხერხი.

დ) მასწავლებელმა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, მისცა დრო, კიდევ ერთხელ ეცადათ ამოცანის ამოხსნა.

## დავალება №7

მასწავლებლები ხშირად იყენებენ შექებას, როგორც მოსწავლეთა მოტივირების საშუალებას, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევენ სასურველ მიზანს.

შექება **ნაკლებად** ეფექტიანია, თუ შექებისას მასწავლებელი:

ა) აღნიშნავს მოსწავლის კომპეტენტურობას.

ბ) აკონკრეტებს შესაქებ მოქმედებას.

გ) არის სპონტანური და გულწრფელი.

დ) ადარებს მოსწავლეს თანატოლებს.

## დავალება №8

არსებობს შეკითხვათა სხვადასხვა ტიპი, მაგალითად, ჰიპოთეზური, მასტიმულირებელი, კვლევითი, შემათანხმებელი, შემაჯამებელი და სხვ.

ჩამოთვლილთაგან რომელია **ჰიპოთეზური** შეკითხვის მაგალითი?

ა) „როგორ მოიქცეოდი, ასეთი არჩევანის წინაშე შენ რომ მდგარიყავი?“

ბ) „მისაღებია შენთვის აზრი: მიზანი ამართლებს საშუალებას? “

გ) „რომელი ნაწილი მოგეწონა ყველაზე მეტად მოთხრობაში?“

დ) „რა იყო ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები?“

## დავალება №9

ჯგუფური მუშაობის დროს ხშირად იჩენს თავს ე.წ. სოციალური სიზარმაცის ფენომენი, როცა ერთობლივ საქმიანობაში ყველა წევრი თანაბარი ინტერესითა და ენთუზიაზმით არ ასრულებს სამუშაოს.

ჩამოთვლილთაგან რომელია სოციალური სიზარმაცის დაძლევის ეფექტიანი სტრატეგია/სტრატეგიები?

I. მოტივაციის გაძლიერების მიზნით, სუსტი მოსწავლისათვის მაღალი მოთხოვნის/სტანდარტის დაწესება.
II. მოსწავლეების წახალისება, შეაფასონ ჯგუფის თითოეული წევრის წვლილი საბოლოო შედეგის მიღწევაში.
III. ჯგუფის თითოეული წევრისათვის მისი შესაძლებლობებისა და ინტერესის შესაბამისი როლისა და ფუნქციის განსაზღვრა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

## დავალება №10

*ნუცას კარგი შესაძლებლობები და საკმარისი ცოდნა აქვს, მაგრამ არ არის საკუთარ ძალებში დარწმუნებული. მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლადაც გაართვას თავი დავალებას, მუდმივად ითხოვს მასწავლებლისაგან დახმარებას. შესაბამისად, თანაკლასელებს ხელი ეშლებათ ყურადღების კონცენტრირებაში, მასწავლებელს კი უჭირს გაკვეთილის დინამიკის შენარჩუნება.*

მასწავლებლის რომელი ქმედებაა *ყველაზე ადეკვატური* იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს და ამავდროულად შეინარჩუნოს კლასის ყურადღება?

ა) უთხრას მოსწავლეს, რომ მას დახმარების გარეშეც შეუძლია დავალების შესრულება და ამგვარად „აიძულოს“ დამოუკიდებლად მუშაობა.

ბ) ანიშნოს მოსწავლეს, რომ მოითმინოს, რადგან არ არის შესაფერისი მომენტი – მოსწავლეები მუშაობენ და ხელი ეშლებათ.

გ) გააფრთხილოს მოსწავლე, რომ დავალებას დამოუკიდებლად თუ არ შეასრულებს, ეს უარყოფითად იმოქმედებს მის შეფასებაზე.

დ) უთხრას მოსწავლეებს, რომ არ შეიძლება დახმარებისთვის მუდმივად მასწავლებელს მიმართონ და სთხოვოს მათ პასუხის გაცემა მოსწავლის კითხვაზე.

## დავალება №11

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს რომელი პრინციპის/პრინციპების გათვალისწინებაა აუცილებელი?

I. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის მიმართ დადებითი მოლოდინების გამოხატვა.
II. მოსწავლის არასრულფასოვნების განცდის ასარიდებლად სასწავლო მასალის უცვლელად გამოყენება.
III. მოსწავლის შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების ფორმების გამოყენება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №12

*მეორეკლასელებისთვის ბუნებრივი მოვლენის – გეიზერის – ასახსნელად მასწავლებელმა გადაწყვიტა, გაკვეთილი სკოლის ეზოში ჩაეტარებინა. მან წინასწარ ქვიშაში დაფლა წყლით სავსე რეზინის ბურთი და მასზე დამაგრებული სპეციალური მოწყობილობა. გაკვეთილზე გეიზერის შესახებ საუბრის დროს იგი დააწვა ბურთს და ბავშვებმა დაინახეს, როგორ ამოხეთქა მოულოდნელად ქვიშიდან წყლის ჭავლმა. ამ სანახაობამ მოსწავლეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თითოეული მათგანი ცდის დამოუკიდებლად გამეორებას ცდილობდა და აღარ აქცევდა ყურადღებას მასწავლებლის განმარტებებს.*

*გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს კარგად ახსოვდათ შადრევანი და მისი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ გეიზერის შესახებ – თითქმის არაფერი.*

აღწერილ სიტუაციაში *ყველაზე მეტად* რომელმა ფაქტორმა განაპირობა მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსის სუსტი ეფექტი?

ა) **არასაკლასო გარემო** – ამ ასაკში მოსწავლეებს არ შეუძლიათ არასაკლასო გარემოში განვითარებული მოვლენები დაუკავშირონ სასწავლო მასალას.
ბ) **თვალსაჩინოების მიმზიდველობა** – უმცროსკლასელების ყურადღებას სრულად იპყრობს თვალსაჩინოება თავისი მოქმედების მექანიზმითა და მოულოდნელობის ეფექტით.
გ) **დემონსტრირების ერთჯერადობა** – მცირე ასაკში მოსწავლეებს არ შეუძლიათ ერთჯერადად მიღებული ინფორმაციის გააზრება და დამახსოვრება.
დ) **თვალსაჩინოების ერთგვარობა** – უმცროსი ასაკის მოსწავლეებთან მხოლოდ ერთი სახის სასწავლო რესურსის გამოყენება შედეგიანი არ არის.

## დავალება №13

გაკვეთილის დასკვნით, ანუ შეჯამების ეტაპზე მასწავლებელი ამოწმებს, რამდენად მოხერხდა გაკვეთილის სასწავლო მიზნის მიღწევა.

გაკვეთილის შეჯამების მიზნით, ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ რომელი აქტივობის გამოყენებაა **ნაკლებად** ეფექტიანი?

ა) აღნიშნოს, გაკვეთილის მსვლელობისას რომელი მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრება იყო ყველაზე მართებული და საკვანძო.
ბ) დაანახვოს მოსწავლეებს შესწავლილი საკითხის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.
გ) სთხოვოს მოსწავლეებს, დაწერონ, რა ისწავლეს, რა ვერ გაიგეს და რის შესახებ სურთ მეტი ცოდნის შეძენა.
დ) დაანახვოს მოსწავლეებს ლოგიკური კავშირი განხილულ მასალასა და მომავალ გაკვეთილს შორის.

## დავალება №14

ცნობილია, რომ მოსწავლის თვითშეფასება კავშირშია მის აკადემიურ მიღწევებთან. სასურველი მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ადეკვატური თვითშეფასება ჩამოუყალიბდეს.

რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება მასწავლებელს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში?

I. საშუალება მიეცით მოსწავლეებს, გამოასწორონ ნიშნები და ხელახლა შეასრულონ დავალება, თუ ამის სურვილი აქვთ.

II. მიეცით მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომების გასწორების შესაძლებლობა წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით.

III. კლასში მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ თითოეული მათგანის ნამუშევარი და შეადარეთ ისინი ერთმანეთს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

## დავალება №15

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება ***ყველაზე მეტად*** მოსწავლეებს, ისწავლონ კლასში შექმნილი კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარება?

ა) მასწავლებელი ყურადღებით უსმენს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, აძლევს მათ საშუალებას, გამოხატონ საკუთარი პოზიციები და სთავაზობს კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მისაღებ ვარიანტს არსებულ ვითარებაში.

ბ) მასწავლებელი კონფლიქტში ჩართულ მოსწავლეებს სთავაზობს, ერთად მოიფიქრონ და ჩამოწერონ კონფლიქტის მოგვარების ყველა შესაძლო ვარიანტი და შეთანხმდნენ მათ შორის ყველაზე მისაღებზე.

გ) მასწავლებელი ითვალისწინებს კონფლიქტში ჩართული მხარეების ინტერესებს და მიუთითებს მოსწავლეებს, თუ რა კომპრომისებზე უნდა წავიდნენ კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარებისთვის.

დ) მასწავლებელი ყურადღებით უსმენს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, გადაწყვეტს, ვინ არის დამნაშავე და სამართლიანობის აღდგენის მიზნით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

## დავალება №16

როლური თამაში ერთ-ერთი შემოქმედებითი მეთოდია, რომელიც მოსწავლეებს უქმნის საშუალებას, ღრმად გაიაზრონ საკითხი და სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ მას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების დაცვაა **აუცილებელი** როლური თამაშის ეფექტიანი გამოყენებისათვის?

I. როლური თამაშის გამოყენების დროს აუცილებელია სცენარის ან სცენარის მსგავსი მონახაზის წინასწარ შემუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ სტიქიურობა და არ ავცდეთ მიზანს.

II. როლური თამაშის შემდეგ უნდა შეფასდეს შესრულებული სამუშაო, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის საშუალება.

III. როლები უნდა გადანაწილდეს მოსწავლეთა სურვილისამებრ, რათა მასწავლებლის შეხედულებით ან შემთხვევითობის პრინციპით მინიჭებულმა როლმა ინტერესი არ დაუკარგოს მოსწავლეებს.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

## დავალება №17

*ერთ-ერთ მეცხრეკლასელს მათემატიკაში მხოლოდ იმის ხარჯზე აქვს შედარებით მაღალი შეფასება, რომ თანაკლასელისაგან იწერს საშინაო და საკლასო დავალებებს. ამის შესახებ მასწავლებელმაც იცის, მაგრამ არაფერს ამბობს, რადგან მოსწავლე გამორჩეულად წარმატებულია ჰუმანიტარულ საგნებში.*

მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება:

ა) **მართებულია,** რადგან ყველა მოსწავლე არ არის თანაბარი შესაძლებლობის. ამასთან, მოსწავლე განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, დავალების გარეშე არ მოდის, რაც მის პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან მოსწავლემ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ სხვა საგნები უმნიშვნელოა და წარმატების მისაღწევად საკმარისია, იშრომოს ერთი მიმართულებით.

გ) **მართებულია,** რადგან მოსწავლეები ხედავენ, რომ რომელიმე საგანში წარმატების მიღწევა საკმარისია აღიარების მოსაპოვებლად და ცდილობენ, მეტი იმუშაონ მათთვის საინტერესო მიმართულებით.

დ) **არ არის მართებული,** რადგან მასწავლებლის ამგვარი მიდგომა ხაზს უსვამს მოსწავლის უუნარობას, ისწავლოს ტექნიკური საგნები.

## დავალება №18

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებები უწყობს ხელს *ყველაზე მეტად* **არგუმენტირებული მსჯელობის** უნარის განვითარებას?

I. მასწავლებელი სვამს პრობლემურ საკითხს, მოჰყავს ამ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისები და გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას.

II. მასწავლებელი სვამს პრობლემურ საკითხს და აძლევს მოსწავლეებს სრულ თავისუფლებას, გამოთქვან როგორც თვალსაზრისები, ისე მათი გასამყარებელი არგუმენტები.

III. მასწავლებელი სვამს პრობლემურ საკითხს, მსჯელობის პროცესში გამოყოფს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ზოგიერთ არგუმენტს და სთხოვს მათ მოიფიქრონ კონტრარგუმენტები.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

## დავალება №19

*ფიზიკის მასწავლებელმა კლასი ოთხ ჯგუფად დაყო, განუსაზღვრა სამუშაო დრო და ოთხივე ჯგუფს ერთნაირი სირთულის სხვადასხვა დავალება მისცა. ორმა ჯგუფმა განსაზღვრულზე ადრე დაასრულა მუშაობა და მასწავლებელმა მათ დამატებით შედარებით რთული ამოცანა მისცა ამოსახსნელად.*

ორგანიზებული სამუშაო გარემოს შენარჩუნების მიზნით, მასწავლებლის ქმედება:

ა) **ადეკვატურია**, რადგან დამატებითი დავალებით მოსწავლე იღრმავებს ცოდნას, შესაძლებელი ხდება გაკვეთილის დინამიკის შენარჩუნება და არასასურველი ქცევის პრევენცია.
ბ) **არ არის ადეკვატური**, რადგან განსხვავებული დავალებებით ბავშვებს ყურადღება ეფანტებათ, რაც უარყოფითად აისახება მათ ქცევაზე.
გ) **ადეკვატურია**, რადგან, საზოგადოდ, რთული ამოცანები უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაინტერესებას, ჩართულობასა და სწავლის მოტივაციის ზრდას.
დ) **არ არის ადეკვატური**, რადგან, ჩვეულებრივ, მოსწავლეებს არ მოსწონთ დამატებითი სამუშაო, უკმაყოფილების ფონზე კი მატულობს არასასურველი ქცევის სიხშირე.

## დავალება №20

მასწავლებლის მიერ გამოყენებულმა სასწავლო აქტივობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს შინაგანი ან გარეგანი მოტივაციის ამაღლებას. ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში მოტივაციის სახეები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს:

| აქტივობა (A) | მოტივაციის სახე (B) |
|---|---|
| I. მასწავლებელი უმაღლესი ქულით აფასებს იმ მოსწავლეს, ვინც ყველაზე ორიგინალურად დაასათაურებს მოთხრობას. | ა) გარეგანი<br>ბ) შინაგანი |
| II. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პრობლემათა ჩამონათვალს, რომელთაგან ისინი ირჩევენ მათთვის ყველაზე აქტუალურს და მუშაობენ ჯგუფურ პროექტზე, რომელიც ორიენტირებულია ამ პრობლემის გადაჭრაზე. | |
| III. მასწავლებელი მოსწავლეებს ატარებინებს ცდას და მათ მიერ აღმოჩენილ კანონზომიერებას უკავშირებს რაიმე მოვლენას ყოველდღიური ცხოვრებიდან. | |

✍ *ჩაწერეთ:*

| აქტივობა (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| მოტივაციის სახე (B) | | | |

## დავალება №21

*მაქსიმალური ქულა – 4*

განასხვავებენ საგნობრივი ცოდნის სამ კატეგორიას: ა)დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას – როდესაც მოსწავლემ იცის კონკრეტული წესი, შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა და გაგება; ბ)პროცედურულს, ანუ დინამიურ ცოდნას – როდესაც მოსწავლემ იცის კონკრეტული წესი და იყენებს მას ნასწავლ/ნაცნობ სიტუაციაში და გ)პირობისეულს, ანუ ფუნქციურ ცოდნას – როდესაც მოსწავლეს შეუძლია ცოდნის ინტერპრეტირება, მისი ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში.




- **აღწერეთ** სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ **პროცედურული** ცოდნის დაუფლებას.
- **განმარტეთ**, რატომ მიიჩნევთ თქვენ მიერ აღწერილ სწავლების მეთოდს ეფექტიანად პროცედურული ცოდნის დაუფლებისთვის.

*ჩაწერეთ:*

# დავალება №22

*მაქსიმალური ქულა – 4*

საშინაო დავალების მიზანია სწავლის პროცესის ხელშეწყობა და მას ყველაზე ხშირად კლასში ნასწავლი მასალის გამეორებისთვის, ცოდნის გამყარებისათვის იყენებენ. საშინაო დავალება ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ **სწავლისადმი მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად**.

- **დაასახელეთ** პედაგოგის მიერ სწავლების პროცესში საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ორი პრინციპი. ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენ მიერ დასახელებული პრინციპის დაცვა.
- **განმარტეთ**, როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან ხელი შეუწყოს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №23

*მაქსიმალური ქულა - 3*

მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სწავლისათვის სწორი მიმართულების მიცემა, მოსწავლეთათვის სასწავლო მიზნების განსაზღვრა. კვლევებმა ცხადყო, რომ სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, მოსწავლე თავად სწავლობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვას და შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა, რაც დადებითად აისახება მის აკადემიურ მიღწევებზე.

- რომელი მოთხოვნა/პირობა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალებები №24–28 შემდეგ პიროგას ეყრდნოგა:

ინტერნეტ სივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, ჩაერთოს წამოჭრილ პრობლემებზე გამართულ დისკუსიაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.*

# სოციალურ ქსელში განთავსებული წერილები

## დავალება №24
## აბუჩად აგდების (ბულინგის) ფაქტების პრევენცია

*აბუჩად აგდება (ბულინგი) გულისხმობს აგრესიულ ან ნეგატიურ ქცევას ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ნაკლებად ძლიერი ადამიანის მიმართ (Caroll-Lind, 2009).*



**Ana Mestvirishvili**

სკოლებში მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელის ჩაგვრა, აბუჩად აგდება საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. აბუჩად აგდების ფაქტები უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, არამედ მათ მიღწევებზე სწავლაში.

მაინტერესებს, რა შეიძლება გავაკეთოთ მოსწავლეთა მხრიდან თანაკლასელის აბუჩად აგდების თავიდან ასარიდებლად?

მომწონს · კომენტარი · გამოწერის გაუქმება · გუშინ, 18:41-ზე

## დავალება №25
## დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება



მაკა საჯაია

ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ მისი შვილის სკოლაში მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ჩვენს შვილებს რომ ვადარებ,  განსხვავება თვალშისაცემია. როგორც ჩანს, ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვის ამ მიმართულებით განვითარებისთვის  სპეციალურ სტრატეგიებს იყენებს. მეც მინდა, რომ ჩემი შვილი აზროვნებდეს დამოუკიდებლად, ჰქონდეს საკუთარი პოზიცია.

კარგი იქნება, თუ ჩემს თხოვნას გამოეხმაურებით და პედაგოგები ერთმანეთს გაუზიარებთ ცოდნას დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების შესახებ.

მომწონს · კომენტარი · გამოწერის გაუქმება · 14 მაისი, 19:36-ზე

## დავალება №26

## პორტფოლიოს მეთოდის გამოყენება



კოტე ურუშაძე

ბოლო დროს, უამრავი მასწავლებლისგან მესმის, რომ მოსწავლეების შესაფასებლად პორტფოლიოს იყენებს. მეც დავიწყე ჩემი მოსწავლეების პორტფოლიოების მომზადება, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უკმაყოფილო ვარ, რადგან ამ საქმიანობას ძალიან ბევრი დრო მიაქვს და არაფერში მადგება.

იქნებ ამიხსნათ, რა უპირატესობა აქვს პორტფოლიოს ჩვეულებრივ შეფასებასთან შედარებით?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 11:25-ზე

## დავალება №27

## მოზარდის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა



თამარ სხირტლაძე

დაწყებით კლასებს ვასწავლი. შემჩნეული მაქვს, რომ მოსწავლეები ჩემი ყურადღების მიპყრობის მიზნით ერთმანეთს აბეზღებენ - „მატყობინებენ“, ვინ რა გააკეთა, როგორ მოიქცა: „სანდრომ სხვა მაგალითი ამოხსნა“, „ნინოს შეცდომა აქვს!“ „გიოს დავალება არ დაუწერია“ და ა.შ.

მაინტერესებს, როგორი რეაგირება უნდა მქონდეს მოსწავლეების ამგვარ ქცევაზე, რომ ხელი შევუწყო მათ პიროვნულ განვითარებას.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 14:11-ზე

## დავალება №28

## ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება



Nini Burduli

კოლეგები მეუბნებიან, რომ ჩანაწერების გაკეთება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლაში - მოსწავლეები, რომლებიც ჩანაწერებს აკეთებენ, უფრო კარგად იმახსოვრებენ და ითვისებენ მასალას. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩანაწერები ხარისხიანია.

არ ვიცი, როგორ ვასწავლო ბავშვებს ისეთი ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება, როგორიც მათ ხელს შეუწყობს სწავლაში.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 22:27-ზე

№24-28 დავალებებისათვის განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება წერილის ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. **დაასაბუთეთ,** რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

დავალება № 27

დავალება №28

## დავალება №29

*თორნიკე გატაცებულია თვითმფრინავის მოდელების შექმნით და ნორჩ გამომგონებელთა ნამუშევრების გამოფენისათვის ხალისით დაიწყო ახალი მოდელის შექმნა.*

მასლოუს თეორიის მიხედვით, რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი განაპირობებს მოსწავლის ამგვარ ქცევას?

ა) დაფასების
ბ) უსაფრთხოების
გ) მიკუთვნებულობის
დ) თვითაქტუალიზაციის

## დავალება №30

ადამიანს შეუძლია გარკვეული ქცევით ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე; თავის მხრივ, გარემოც ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მისი ქცევის ცვლილებას. ეს მექანიზმი ბანდურას თეორიაში **ურთიერთდეტერმინიზმის** სახელითაა ცნობილი.

***დათოს ჯერ დავალებების შესრულება არ ჰქონდა დასრულებული, მაგრამ დედას დაჟინებით სთხოვდა კინოში წაყვანას. დედა უარს ეუბნებოდა, რადგან უნდოდა, რომ დათოს მეცადინეობა დაესრულებინა. უარი რომ მიიღო, ბავშვმა ტირილი დაიწყო.***

ბანდურას **ურთიერთდეტერმინიზმის კონცეფციის** თანხმად, მოცემულ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს დედა, რომ **სასურველი შედეგი მიიღოს**?

ა) დედამ, არ უნდა წაიყვანოს დათო კინოში და უზნეო საქციელის გამო თამაშის უფლებაც არ უნდა მისცეს.
ბ) დედამ უნდა დააკმაყოფილოს დათოს მოთხოვნა, რომ მისი ტირილი თავიდან აიცილოს.
გ) დედამ არ უნდა წაიყვანოს დათო კინოში, რომ მომავალში მან ასეთი ქცევა აღარ გაიმეოროს.
დ) დედამ უნდა წაიყვანოს დათო კინოში იმ პირობით, რომ სხვა დროს ასე აღარ მოიქცევა.

## დავალება №31

უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, თამაშის შესახებ გამოთქმული რომელი დებულება/დებულებებია მართებული?

I. თამაში ქცევის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც არ საჭიროებს ბავშვის/ინდივიდის სპეციალურ მზაობას, მის მთლიანპიროვნულ განწყობას.
II. თამაშის ძირითადი მოტივი არის თავად ქმედებისაგან სიამოვნების მიღება. ამ დროს აქტიურდება ბავშვის შესაძლებლობები.
III. თამაში არის ქცევა, რომელიც შინაგანი იმპულსიდან მომდინარეობს და თავისუფალია გარე იძულებისაგან.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №32

*6 წლის ნინოს დავალების შესრულება გაუჭირდა და დახმარებისათვის მასწავლებელს მიმართა. იმისათვის, რომ მოსწავლეს დავალება დამოუკიდებლად შეესრულებინა, მასწავლებელმა დახმარებაზე უარი უთხრა. ნინო დავალების შესრულებას შეუდგა; მან უნებურად ხმამაღლა დაიწყო მსჯელობა, რისთვისაც მასწავლებლის შენიშვნა დაიმსახურა.*

მოცემულ სიტუაციაში აღწერილია ეგოცენტრული მეტყველების მაგალითი. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, რა განაპირობებს მოსწავლის *ეგოცენტრულ მეტყველებას*?

ა) თვითრეგულაცია
ბ) პროტესტის განცდა
გ) დაბალი თვითშეფასება
დ) ყურადღების მიქცევის სურვილი

## დავალება №33

ბრუნერის თეორიის მიხედვით, აღმოჩენებით სწავლის გზით მოსწავლეები უკეთ იაზრებენ მასალას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა/პირობები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა აღმოჩენებით სწავლის მეთოდის ეფექტიანად გამოყენებისათვის?

I. მოსწავლეები სასწავლო მასალას უნდა გაეცნონ თავისუფალი აზროვნების ხელშემწყობ გარემოში, სადაც მათ განსხვავებული იდეების გამოხატვის შესაძლებლობა ექნებათ.
II. სასწავლო მასალა კავშირში უნდა იყოს განვლილ მასალასთან, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ძველსა და ახალ ცოდნას შორის მიმართებების დანახვა, ლოგიკური კავშირების დამყარება.
III. სასწავლო მასალა უნდა მივაწოდოთ სრულად ორგანიზებული კოდირებული სისტემის სახით, რათა მოსწავლეებისათვის თვალსაჩინო იყოს ცნებებს შორის ლოგიკური კავშირი.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

## დავალება №34

*მასწავლებელი ხვდება, რომ გარკვეულ სიტუაციებში მოსწავლე ცუდად იმიტომ იქცევა, რომ მისი ყურადღება მიიპყროს.*

ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, მსგავს შემთხვევაში მასწავლებლის რომელი ქმედებაა ***ყველაზე ადეკვატური*** მოსწავლის ქცევის კორექციისთვის?

ა) შენიშვნის მიცემა
ბ) გაფრთხილება
გ) იგნორირება
დ) დასჯა

## დავალება №35

განვითარებისა და სწავლის თეორიები ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. მეცნიერებმა აღწერეს მოსწავლის მიერ ცოდნის დაუფლების, მისი მორალური განვითარებისა და ამა თუ იმ ქცევის მექანიზმები. თეორიული მოსაზრებების კონკრეტულ მაგალითებს ხშირად ვხვდებით მხატვრულ ნაწარმოებებშიც. ამგვარი ნიმუშია ეს ფრაგმენტიც:

**„... – ვის ელაპარაკებოდი? – მკაცრად ჰკითხა ბრძენ კინა-ლოკოს ქონდართუხუცესმა.**

**– არავის! – მოკლედ და მშრალად მიუგო ბრძენმა და ყურებიანად გაწითლდა, რადგან იცრუა. მას კი გაგებული ჰქონდა და იცოდა, რომ არც ერთი ცნობილი ბრძენი არასოდეს არ ამბობდა ტყუილს. მერე ამაზე დიდხანს ფიქრობდა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: არსებობს ორნაირი ტყუილი – მავნე და სასარგებლო. თუ ტყუილს რაიმე სარგებლობისა და სიკეთის მოტანა შეუძლია, მაშინ თვით ბრძენსაც აქვს უფლება, ზოგჯერ ტყუილი თქვას.“***

კოლბერგის თეორიაზე დაყრდნობით, მოცემული ნაწყვეტიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაწარმოების პერსონაჟი მორალური განვითარების პოსტკონვენციურ დონეზეა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზა მიუთითებს, რომ პერსონაჟი მორალური განვითარების *პოსტკონვენციურ დონეზეა*?

ა) „ამაზე დიდხანს ფიქრობდა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: არსებობს ორნაირი ტყუილი – მავნე და სასარგებლო.“

ბ) „მას კი გაგებული ჰქონდა და იცოდა, რომ არც ერთი ცნობილი ბრძენი არასოდეს არ ამბობდა ტყუილს.“

გ) „– არავის! – მოკლედ და მშრალად მიუგო ბრძენმა და ყურებიანად გაწითლდა, რადგან იცრუა.“

დ) „თუ ტყუილს რაიმე სარგებლობისა და სიკეთის მოტანა შეუძლია, მაშინ თვით ბრძენსაც აქვს უფლება, ზოგჯერ ტყუილი თქვას.“

** არჩილ სულაკაური „სალამურას თავგადასავალი“*

## დავალება №36

*მასწავლებელმა პირველი კლასის მოსწავლეებს აჩვენა ქვემოთ მოცემული ნახატი, რომელზედაც გამოსახულია ზამბარებზე ჩამოკიდებული სამი ყუთი: ერთი მოცულობით დიდი, მეორე – საშუალო ზომის, მესამე – პატარა. შეკითხვაზე, რომელია ყველაზე მძიმე, ერთ-ერთმა მოსწავლემ მიუთითა მოცულობით ყველაზე დიდ ყუთზე და არა პატარაზე, რომელიც ზამბარის დაჭიმულობის მიხედვით ყველაზე მძიმეა.*



პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, რომელი მსჯელობაა *ყველაზე მართებული* მოსწავლის მცდარი პასუხის ასახსნელად?

ა) ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ კლასიფიცირება რამდენიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით; ასრულებენ მარტივ ლოგიკურ ოპერაციებს და ეს მოქმედებები შექცევადია.

ბ) ამ ასაკის ბავშვები სინამდვილეს განაზოგადებენ თვალსაჩინო ხატებზე დაყრდნობით. მათთვის ჯერ უცნობია ლოგიკის წესები და დასკვნას ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატული ნიშანი განსაზღვრავს.

გ) ამ ასაკის ბავშვები საკუთარი შეგრძნებებისა და მოტორული მოქმედებების საფუძველზე შეძენილი გამოცდილებით ახერხებენ გარემოს აღქმას და მასთან ადაპტაციას.

დ) ამ ასაკის ბავშვები აზროვნებისას ეყრდნობიან ცალკეულ ფაქტებს და მათი აზროვნებისათვის დამახასიათებელია შეუქცევადობა – არ შეუძლიათ, წარმოიდგინონ მოქმედებები საწინააღმდეგო მიმართულებით.

## დავალება №37

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვის კოგნიტური განვითარებისათვის სოციალურ ურთიერთობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა განვითარების ხელშემწყობი იყოს, მას გარკვეული მახასიათებლები უნდა ჰქონდეს.

ვიგოტსკის თეორიის თანახმად, განვითარების ხელშემწყობ სოციალურ ურთიერთობას **აუცილებლად** უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშანი/ნიშნები:

I. **მოსწავლის დახმარება, ბიძგის მიცემა სწორი მიმართულებით** (მაგ.: „როგორ ფიქრობ, რა არის აქ საჭირო?“).
II. **მასწავლებლისა და მოსწავლის მზადყოფნა თვალსაზრისთა გაზიარებისთვის** (მაგ.: „მე ასე მგონია, შენ რას ფიქრობ?“).
III. **მოსწავლის ინიციატივა** (მაგ.: „ამ დავალებას ვერ ვაკეთებ. დამეხმარებით?“)

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №38

*მოსწავლეთა მცირე ჯგუფები ტექსტის წაკითხვის შემდეგ ირჩევენ და უსიტყვოდ წარმოადგენენ მათთვის სასურველ სცენას ნაწარმოებიდან.*

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის მიხედვით, *ყველაზე მეტად* რომელი ინტელექტის მქონე მოსწავლეს გაუადვილდება ამ დავალების შესრულება?

ა) ინტერპერსონალური
ბ) კინესთეტიკური
გ) ლინგვისტური
დ) სივრცითი

## დავალება №39

ბლუმის აზრით, მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იცნობდეს მოსწავლის სააზროვნო პროცესებს და სხვადასხვა სირთულის დავალებების გამოყენებით შეეძლოს მათი სტიმულირება.

ცხრილში მოცემული დავალებები დაალაგეთ სააზროვნო პროცესის სირთულის მიხედვით დაბლიდან მაღლისაკენ.

| დავალება |
|---|
| 1. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დასაწერად თხზულებას თემაზე: „სწავლის ძირი მწარე არის...“ . |
| 2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, თავისი სიტყვებით გადმოსცეს ტექსტის მოკლე შინაარსი. |
| 3. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გაარკვიონ, რა კავშირია კლიმატურ პირობებსა და საცხოვრებელი ნაგებობების თავისებურებებს შორის. |

✍ *ჩაწერეთ:*

| | სააზროვნო პროცესის სირთულის დონე | | |
|---|---|---|---|
| | დაბალი | საშუალო | მაღალი |
| დავალებები | | | |

## დავალება №40

*მაქსიმალური ქულა – 3*

*მასწავლებელი მოსწავლის შესაფასებლად ამგვარ კომენტარებს იყენებს:*

*„შენგან არავითარი ხეირი არ არის“,*

*„შენ მხოლოდ პრობლემების შექმნა შეგიძლია“,*

*„ძირითად, იმას აკეთებ, რომ ხელს გვიშლი“...*

*მოსწავლე შეგუებულია ასეთ მიდგომას, უკვე მასწავლებლის თვალით აფასებს საკუთარ თავს და აღარ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, რადგან დარწმუნებულია, რომ მასწავლებელი არ ცდება.*

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია **როჯერსის ჰუმანისტურ თეორიაზე** დაყრდნობით. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **დაასახელეთ,** როჯერსის თეორიის მიხედვით, პიროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვან რომელ პირობას არ ითვალისწინებს პედაგოგი აღწერილ სიტუაციაში.
- **ახსენით,** რა გავლენას ახდენს პედაგოგის ამგვარი შეფასება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

**იმ შემთხვევაში, თუ როჯერსის თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

✍ *ჩაწერეთ:*

# პროფესიული გარემო

ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ სიტუაციებს და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.

## დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

*ნინო ერთ-ერთი საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და VII კლასის დამრიგებელია. მან კონკურსში გაიმარჯვა და ლონდონში კვალიფიკაციის ასამაღლებელ ექვსთვიან კურსებზე სწავლის დაფინანსება მოიპოვა. სკოლაში მუშაობის რვა წლის განმავლობაში ნინოს უხელფასო შვებულებით არ უსარგებლია, ამდენად, მან სკოლის დირექციას სთხოვა სამუშაო ადგილის შენარჩუნება, რაზედაც თანხმობა მიიღო.*

*ლონდონიდან დაბრუნებულმა ნინომ სკოლაში მუშაობა განაგრძო. ვინაიდან ამ დროს სკოლაში ყველა კლასს ჰყავდა დამრიგებელი, დირექტორმა მერვე კლასი შუაზე გაყო (15-15 მოსწავლე) და ერთ-ერთი განაყოფის დამრიგებლად ნინო დანიშნა. სადამრიგებლო კლასისთვის ნინომ მოსწავლეები ინგლისურ ენაში აკადემიური მოსწრების საფუძველზე შეარჩია და სწავლის დაწყებამდე მშობელთა კრება მოიწვია.*

*შეხვედრაზე მასწავლებელმა მშობლებს დეტალურად გააცნო თავისი გეგმა და მიზნები. მოკლედ მიმოიხილა უცხოური ენის სწავლების უახლესი მეთოდები, რომლებიც ბრიტანეთში შეისწავლა და რომელთა პრაქტიკაში დანერგვასაც აპირებდა; მშობლებს ასევე უთხრა, რომ ძველი სახელმძღვანელოს შეცვლას გეგმავს და მათ ასარჩევად წარუდგინა ორი სახელმძღვანელო, რომლებიც თავად ჩამოიტანა ბრიტანეთიდან. მშობლები მისი შემოთავაზებით კმაყოფილები დარჩნენ და ერთობლივი მსჯელობის შედეგად შეარჩიეს ინგლისური ენის ახალი სახელმძღვანელო.*

41. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება სკოლის დირექციისათვის მოეთხოვა უხელფასო შვებულება და სამუშაო ადგილის შენარჩუნება 6 თვის განმავლობაში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

---

✍

---

42. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია გაყოს კლასი, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა იქნება 15.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებელს არ ჰქონდა აკადემიური მოსწრების საფუძველზე მოსწავლეთა დიფერენცირებისა და სადამრიგებლო კლასისთვის მოსწავლეების შერჩევის უფლება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

44. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაუშვებელია ერთი სკოლის პარალელურ კლასებში სხვადასხვა სახელმძღვანელოთი სწავლება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

45. დაუშვებელია სახელმძღვანელოს შერჩევა მხოლოდ მშობლებთან კონსულტაციის შედეგად, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ №46– 50 ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ

*ახალგაზრდა ფსიქოლოგმა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მომუშავე ახლობელ პედაგოგს, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრია, დახმარების თხოვნით მიმართა. მას კვლევისათვის ესაჭიროებოდა VII–VIII კლასების მოსწავლეების გამოკითხვა. პედაგოგი საკვლევმა თემამ (კონფლიქტი ოჯახში) დააინტერესა და ფსიქოლოგს დახმარება აღუთქვა. მან მიიღო დირექტორის ნებართვა სკოლაში კვლევის ჩატარების თაობაზე. კვირის ბოლოს მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები ინფორმატიკის კაბინეტში შეიყვანა, ახალგაზრდა ფსიქოლოგი წარუდგინა, კვლევის მიზნები გააცნო და მათგან მოითხოვა ანკეტაზე გვარის მითითება. მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ არასასკოლო აქტივობაში. ზოგიერთზე ამ საქმიანობამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შინ მისულმა მშობლებს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.*

*ორშაბათს სკოლის დირექციას განცხადებით მიმართა მომხდარი ფაქტით აღშფოთებულმა ერთ-ერთმა მშობელმა. მან უკმაყოფილება ორი მიზეზის გამო გამოთქვა: (1) რა უფლებით შეიტანა მკვლევარმა კითხვარში ისეთი კითხვები, როგორიცაა: „რამდენად ხშირია თქვენს ოჯახში კონფლიქტი?“, „უფრო ხშირად ვინ არის თქვენს ოჯახში კონფლიქტის ინიციატორი?“ და (2) კითხვარის შევსებამდე რატომ არ განუმარტეს მოსწავლეებს მათი უფლებები (ისინი არ იყვნენ ვალდებულნი, რომ ანკეტაზე მიეთითებინათ საკუთარი ვინაობა). მშობელი კატეგორიულად მოითხოვდა სკოლის პედაგოგის დასჯას. ამ ფაქტს ისიც დაერთო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ინფორმატიკის მასწავლებელმა დირექციას აცნობა, რომ ინფორმატიკის კაბინეტში კვლევის ჩატარების შემდეგ ორი კომპიუტერი დაზიანებული აღმოჩნდა.*

*დირექტორმა კომპიუტერების დაზიანების საკითხი განსახილველად გადასცა დისციპლინურ კომიტეტს, რომელმაც ტექნიკის დაზიანების გამო კვლევაში მონაწილე მოსწავლეებს დააკისრა სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დღეში 2 საათით. დისციპლინურმა კომიტეტმა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობა მოსწავლეების მშობლებს. ამასთან, დირექტორმა მოიწვია სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც უნდა განხილულიყო საბჭოს წევრი მასწავლებლის საკითხი.*

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებელი ვალდებული იყო, მოსწავლეთათვის კითხვარის შევსებამდე გაეცნო მათი უფლებები და თავისუფლებები.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაცია ხელშეუხებელია და პედაგოგს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა მოსწავლეებისაგან ანკეტაზე ვინაობის მითითება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

---

✍

---

48. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის დირექტორი იყო უფლებამოსილი, მოეწვია სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

---

✍

---

49. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინურ კომიტეტს უფლება ჰქონდა, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის, დისციპლინური სახდელის სახით, დაეკისრებინა სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის შესრულება დღეში 2 საათით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

---

✍

---

50. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური კომიტეტი არ იყო ვალდებული, მშობლებისთვის ეცნობებინა გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

---

✍

---

# დანართი 3

# *შეფასების სქემა*

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘ

## ᲢᲔᲡᲢᲘ I

## ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ

ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲑᲝᲚᲝᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1*

| დავალება | პასუხი |
|---|---|
| 1 | დ |
| 2 | ბ |
| 3 | ბ |
| 4 | ა |
| 5 | გ |
| 6 | გ |
| 7 | დ |
| 8 | ა |
| 9 | გ |
| 10 | ა |
| 11 | ბ |
| 12 | ბ |
| 13 | ა |
| 14 | ბ |
| 15 | ბ |
| 16 | ა |
| 17 | ბ |
| 18 | გ |
| 19 | ა |

| დავალება | პასუხი |
|---|---|
| 29 | დ |
| 30 | გ |
| 31 | დ |
| 32 | ა |
| 33 | ა |
| 34 | გ |
| 35 | დ |
| 36 | ბ |
| 37 | ბ |
| 38 | ბ |

შესაბამისობის დავალებები

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1*

## დავალება №20

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები ჩაწერილია მოცემული თანმიმდევრობით:<br><table><tr><td>აქტივობა **(A)**</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr><tr><td>მოტივაციის სახე **(B)**</td><td>ა</td><td>ბ</td><td>ბ</td></tr></table> |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით ჩაწერილი პასუხი |

## დავალება №39

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები ჩაწერილია მოცემული თანმიმდევრობით:<br><table><tr><td></td><td colspan="3">სააზროვნო პროცესის სირთულის დონე</td></tr><tr><td></td><td>დაბალი</td><td>საშუალო</td><td>მაღალი</td></tr><tr><td>დავალებები</td><td>2</td><td>3</td><td>1</td></tr></table> |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით ჩაწერილი პასუხი |

## დიადაგნოსტიკური დავალებები

## დავალება №21

*მაქსიმალური ქულა – 4*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 4 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას. ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტი ავლენს საკითხის გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას - აპლიკანტის პასუხში წარმოდგენილია დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია და მკაფიოდ ჩანს, რომ აპლიკანტს სრულად და დეტალურად ესმის პროცედურული ცოდნის რაობა, მოსწავლის მიერ მისი დაუფლების პროცესი; კერძოდ, თუ პასუხი მოიცავს ორ კომპონენტს:<br>➡ აპლიკანტი **აღწერს** სწავლების ადეკვატურ მეთოდს, ანუ პასუხში აღწერილია მოსწავლის მიერ პროცედურული ცოდნის დაუფლების ხელშემწყობი სწავლების კონკრეტული მეთოდი/სტრატეგია.<br>➡ დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა. პასუხიდან ჩანს როგორ ეხმარება სწავლების აღწერილი მეთოდი/სტრატეგია მოსწავლეს ისწავლოს კონკრეტული წესის გამოყენება ნასწავლ/ნაცნობ სიტუაციაში |
| 3 ქულა | პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური. პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტს კარგად ესმის პროცედურული ცოდნის არსი, მაგრამ არ აქვს გაცნობიერებული დეტალები.<br>კერძოდ, თუ აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას, თუმცა რომელიმეზე პასუხი ზოგადია ან სქემატური:<br>➡ აპლიკანტი აღწერს სწავლების კონკრეტულ მეთოდს/სტრატეგიას. პასუხიდან ჩანს, რომ აღწერილი მეთოდი/სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს პროცედურული ცოდნის დაუფლებაში;<br>➡ დასაბუთებულია აღწერილი მეთოდის/სტრატეგიის ადეკვატურობა, თუმცა დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>ან<br>➡ მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი სწავლების ადეკვატური მეთოდი/ სტრატეგია.<br>➡ მოცემულია დასახელებული მეთოდის/სტრატეგიის ადეკვატური, ლოგიკურად გამართული დასაბუთება. პასუხიდან ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა; |

| | |
|---|---|
| 2 ქულა | პასუხში ჩანს, რომ დასმულ საკითხთან დაკავშირებით აპლიკანტის ცოდნა ნაწილობრივია – არასრული, არაზუსტია, თუმცა იგი ფლობს ზოგად ინფორმაციას საკითხის შესახებ და წარმოაჩენს ამ ცოდნას.<br>თუ აპლიკანტი მითითებებს უპასუხებს ნაწილობრივ, ზოგადად და სქემატურად. კერძოდ:<br>➧ სწავლების მეთოდი/სტრატეგია **დასახელებულია**, მაგრამ არ არის აღწერილი<br>➧ მოცემულია ზოგადი, სქემატური დასაბუთება;<br>ან<br>➧ აღწერილია სწავლების ადეკვატური მეთოდი/სტრატეგია;<br>➧ დასაბუთებუთება არ არის. |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის ცოდნა ზედაპირულია, პასუხი შეიცავს სწორი, ლოგიკური მსჯელობის ელემენტებს და/ან პასუხის ნაწილში მოცემულია მცდარი, არაზუსტი მსჯელობა რაც ცხადჰყოფს, რომ აპლიკანტს პრაქტიკულად არ ესმის საკითხი.<br>კერძოდ:<br>➧ სქემატურად, ძალიან ზოგადად (მშრალად) აღწერილია სწავლების მეთოდი, დასაბუთების გარეშე<br>ან<br>➧ დასაბუთების კომპონენტი ზედაპირულია, ზოგადი, აკლია დამაჯერებლობა; მოცემულია არარელევანტური, პირობას აცდენილი მსჯელობა<br>ან<br>➧ აპლიკანტი ადეკვატურად, მაგრამ ზოგადად მსჯელობს პროცედურული ცოდნის მნიშვნელობაზე, სწავლების კონკრეტული მეთოდის დასახელების გარეშე. |
| 0 ქულა | **პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. შეუძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, როგორ ესმის აპლიკანტს დასმული საკითხი<br>კერძოდ:<br>➧ დასახელებულია სწავლების მხოლოდ ერთი მეთოდი და არაფერი მიანიშნებს რომ აპლიკანტს გააჩნია ცოდნა დასმული საკითხის გარშემო. მაგ., აპლიკანტი წერს: „სწავლა კეთებით“, „ვარჯიში“, „გამეორება“ და სხვ.<br>ან<br>➧ დასახელებულია არაადეკვატური სტრატეგია. |

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 4 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას. ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტმა იცის როგორ გამოიყენოს საშინაო დავალება ისე, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და ავლენს ამ საკითხის გარშემო გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას. აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას:<br>➧ აპლიკანტის პასუხში **დასახელებულია** პედაგოგის მიერ სწავლების პროცესში საშინაო დავალების შედეგიანად გამოყენების ორი პრინციპი. ამასთან **ახსნილია,** რატომ არის მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პრინციპების დაცვა.<br>➧ აპლიკანტის პასუხში **განმარტებულია,** როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება, რომ მან ხელი შეუწყოს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. |
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური ლოგიკურად გამართული, თუმცა მსჯელობა არ არის სრულყოფილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.<br>➧ პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას, თუმცა რომელიმე ერთზე პასუხი ნაწილობრივი, ზოგადი ან სქემატურია. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ნაწილობრივი ცოდნა.<br>➧ **აპლიკანტი ადეკვატურად, ამასთან სრულად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ რომელიმე მითითებას.**<br>ან<br>➧ **აპლიკანტი ადეკვატურად უპასუხებს ორივე მითითებას, მაგრამ ორივე პასუხი სქემატური ან ზოგადია. აპლიკანტი ორივე მითითების შესახებ საკუთარ მსჯელობას ამყარებს ერთი და იგივე არგუმენტით.** |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.<br>➧ **აპლიკანტი უპასუხებს ზოგადად და სქემატურად პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ რომელიმე მითითებას.** |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №23

*მაქსიმალური ქულა – 3*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პირობაში მოცემული მითითების გათვალისწინებით, ადეკვატურად უპასუხებს დავალებას, პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი.<br>➡ დასახელებულია მოსწავლის მიერ მიზნის დასახვისა და სწავლისათვის მიმართულების მიცემისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნა/პირობა.<br>➡ პასუხი არგუმენტირებულია, თანამიმდევრული და ლოგიკური. აღწერილი მოთხოვნის/პირობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით. |
| 2 ქულა | **პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, თუმცა არასრულყოფილი ანალიზი – მითითებაზე პასუხი ზოგადი და სქემატურია:<br>➡ **დასახელებულია** ადეკვატური პირობა/მოთხოვნა, მაგრამ არგუმენტაციის ნაწილი სქემატურია – მკაფიოდ არ არის განმარტებული რა კავშირშია ეს პირობა მიზნების დასახვის სწავლებასთან. |
| 1 ქულა | **პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა და/ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტი არ უპასუხებს პირობით გათვალისწინებულ მითითებას ან მისი პასუხი ოდნავ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.**<br>➡ **დასახელებულია** ორი ან მეტი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა. პასუხი **არ არის** განმარტებული და/ან გამყარებული ერთი არგუმენტით მაინც. |
| 0 ქულა | **პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა:<br>➡ დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები; (მაგალითად, მიზნების დასახვის ნაცვლად აპლიკანტი საუბრობს გაკვეთილის დაგეგმვაზე)<br>ან<br>➡ პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მოთხოვნა/პირობა.<br>ან<br>➡ პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია. |

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №24

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ | |
|---|---|
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას).<br>➧ აღწერილია ადეკვატური რჩევა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ბულინგის პრევენციაში.<br>➧ პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.<br>➧ აპლიკანტის პასუხს აკლია დავალების პირობის მეორე კომპონენტი (აღწერს ქმედებას, რომლითაც გეგმავს ბულინგის პრევენციას და არ განმარტავს, რატომ შეუწყობს ხელს ეს ქმედება ჩაგვრის ფაქტების თავიდან აცილებას).<br>ან<br>➧ აპლიკანტი ადეკვატურად პასუხობს ყველა მითითებაზე, მაგრამ სქემატურად. პასუხს აკლია სისრულე (აპლიკანტი ასახელებს, მაგრამ არ აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას და მოჰყავს შესაბამისი არგუმენტი). |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.<br>➧ აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს, მაგრამ არ ასაბუთებს ორზე მეტ პრევენციულ ქმედებას.<br>ან<br>➧ აპლიკანტი ასახელებს და არასრულად, ზედაპირულად აღწერს ბულინგის პრევენციისადმი მიმართულ რაიმე ქმედებას. პასუხი **არ არის** განმარტებული და/ან გამყარებული არგუმენტით.<br>ან<br>➧ პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას. აპლიკანტი იძლევა განმარტებას რატომაა მნიშვნელოვანი ამ ფაქტების თავიდან აცილება, თუმცა არ მიუთითებს, როგორი ქმედებები უზრუნველყოფს ბულინგის პრევენციას. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა მითითებას.<br>➡ აპლიკანტი აღწერს ერთ-ერთ სტრატეგიას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში.<br>➡ აპლიკანტის პასუხში ლოგიკურადაა დასაბუთებული თუ რატომ შეუწყობს ხელს არჩეული სტრატეგია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.<br>➡ აპლიკანტი სრულყოფილად აღწერს ერთ ადეკვატურ სტრატეგიას, რომელიც პედაგოგს დაეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში.<br>➡ არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>➡ აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს ერთ (ან მეტ) სტრატეგიას.<br>➡ აპლიკანტი კარგად ასაბუთებს დასახელებულ სტრატეგიას.<br>ან<br>➡ პასუხი ორივე მითითებაზე ნაწილობრივ სწორია, სქემატურია. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.<br>➡ პასუხი პირველ მითითებაზე ნაწილობრივ სწორია და არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>➡ აკლია პასუხი პირველ მითითებაზე და მეორე მითითებაზე პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დავალების პირობას, მაგრამ მსჯელობა ზოგადად მართებულია.<br>ან<br>➡ მხოლოდ დასახელებულია (არ არის აღწერილი) ორი ან მეტი ადეკვატური სტრატეგია. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №26

*მაქსიმალური ქულა – 3*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას).<br>• აღწერილია პორტფოლიოს მეთოდის უპირატესობა ჩვეულებრივ შეფასებასთან შედარებით.<br>• პასუხი არგუმენტირებულია, განმარტებულია, კონკრეტულად რა განაპირობებს პორტფოლიოს მეთოდის დასახელებულ უპირატესობას. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.<br>• აპლიკანტი ადეკვატურად უპასუხებს ორივე მითითებაზე, ასახელებს პორტფოლიოს უპირატესობას, მაგრამ სქემატურად ასაბუთებს. ზოგადად პასუხს აკლია სიცხადე, მკაფიობა, სისრულე. |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.<br>• აპლიკანტი ასახელებს პორტფოლიოს უპირატესობას, მაგრამ პასუხი <u>არ არის</u> განმარტებული და/ან გამყარებული არგუმენტით. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>• აპლიკანტს სწორად არ ესმის რას წარმოადგენს პორტფოლიო: აპლიკანტი თვლის, რომ პორტფოლიოში შედის დისციპლინური შეფასებები, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესახებ მონაცემები.<br>• პორტფოლიოს ურევს მასწავლებლის ჩანაწერებსა და კომენტარებში. |

## დავალება №27

*მაქსიმალური ქულა – 3*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას). კერძოდ:<br>➡ აპლიკანტი აღწერს ერთ აქტივობას/სტრატეგიას, რომელიც უნდა გამოიყენოს პედაგოგმა, რათა აღმოფხვრას მოსწავლის ამგვარი ქცევა.<br>➡ აპლიკანტი ლოგიკურად ასაბუთებს რატომ არის მის მიერ შერჩეული აქტივობა/სტრატეგია ეფექტიანი მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული.<br>➡ აპლიკანტი სრულყოფილად აღწერს ერთ ადეკვატურ სტრატეგიას, რომელიც პედაგოგს დაეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში.<br>➡ არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>➡ აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს ერთ (ან მეტ) სტრატეგიას.<br>➡ აპლიკანტი კარგად ასაბუთებს დასახელებულ სტრატეგიას.<br>ან<br>➡ პასუხი ორივე მითითებაზე ნაწილობრივ სწორია, სქემატურია. |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა.<br>➡ პასუხი პირველ მითითებაზე ნაწილობრივ სწორია და არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>➡ აკლია პასუხი პირველ მითითებაზე და მეორე მითითებაზე პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დავალების პირობას, მაგრამ მსჯელობა ზოგადად მართებულია.<br>ან<br>➡ მხოლოდ დასახელებულია (არ არის აღწერილი) ორი ან მეტი ადეკვატური სტრატეგია. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.<br>➡ დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს<br>➡ აპლიკანტი პრობლემის მოსაგვარებლად მიმართავს ფსიქოლოგს, მშობელს და ა.შ.<br>➡ აპლიკლანტი იმეორებს დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას. |

## დავალება №28

*მაქსიმალური ქულა – 3*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 ქულა | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა.</u> პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი.<br>➡ დეტალურადაა აღწერილი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ასწავლოს მოსწავლეებს ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება.<br>➡ პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული:<br>➡ **აღწერილია** ჩანაწერების გაკეთების სწავლების კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია.<br>➡ აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის მართებულობა დასაბუთებულია ზოგადი, **უნივერსალური არგუმენტებით.**<br>ან<br>➡ სქემატურადაა აღწერილი/ფაქტობრივად დასახელებულია ჩანაწერების გაკეთების სწავლების ადეკვატური აქტივობა/სტრატეგია<br>➡ პასუხში მოცემულია დასახელებული აქტივობის/სტრატეგიის მართებულობის მყარი, დამაჯერებელი არგუმენტაცია.<br>ან<br>➡ დასახელებულია და ამომწურავად არის აღწერილი ერთი კონკრეტული სტრატეგია/აქტივობა.<br>➡ არ არის პასუხი დასაბუთებული. |
| 1 ქულა | <u>პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა და /ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი.</u><br>➡ **სქემატურადაა** აღწერილი ჩანაწერების გაკეთების სწავლების კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, პასუხი <u>**არ არის**</u> განმარტებული და/ან გამყარებული ერთი არგუმენტით მაინც.<br>ან<br>➡ მხოლოდ დასახელებულია (არ არის აღწერილი) ორი ან მეტი აქტივობა/სტრატეგია დასაბუთების გარეშე.<br>ან<br>➡ დავალების ორივე მითითებაზე პასუხი სქემატურია.<br>ან<br>➡ აპლიკანტი პასუხში ზოგადად მსჯელობს ხარისხიანი ჩანაწერების მნიშვნელობაზე. |

| | |
|---|---|
| 0 ქულა | <u>პასუხი არაადეკვატურია</u> აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.<br>➡ დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>ან<br>➡ პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები.<br>ან<br>➡ პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

## დავალება №40

*მაქსიმალური ქულა – 3*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას). პასუხში ჩანს როჯერსის თეორიის გააზრებული ცოდნა.<br>➡ აპლიკანტი ასახელებს რომელი მნიშვნელოვანი პირობა არ გაითვალისწინა მასწავლებელმა.<br>➡ აპლიკანტის როჯერსის თეორიაზე დაყრდნობით განმარტავს თუ რა გავლენას ახდენს პედაგოგის ამგვარი ქმედება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. |
| 2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული. აკლია სიცხადე. მკაფიობა, სისრულე. კერძოდ:<br>➡ აპლიკანტი როჯერსის თეორიაზე დაყრდნობით ასახელებს პირობას, რომელიც არ გაითვალისწინა პედაგოგმა (იყენებს როჯერსისეულ ტერმინოლოგიას).<br>➡ აპლიკანტი არგუმენტირების დროს არ ეყრდნობა როჯერსის თეორიას, თუმცა უარყოფითად აფასებს პედაგოგის ქცევას და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით განმარტავს, რა გავლენა აქვს მის მიერ დასახელებულ პირობას ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე. |

| | |
|---|---|
| | ან<br>➡ აპლიკანტი როჯერსის თეორიაზე დაყრდნობით ასახელებს პირობას, რომელიც არ გაითვალისწინა პედაგოგმა (იყენებს როჯერსისეულ ტერმინოლოგიას).<br>➡ აპლიკანტი ადეკვატურად, როჯერსის ტერმინოლოგიის გამოყენებით, მაგრამ ზედაპირულად განმარტავს, რატომაა მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პირობის გათვალისწინება მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის.<br>ან<br>➡ აპლიკანტის პასუხი ორივე მითითებაზე ადეკვატურია, მაგრამ არასრული. ჩანს როჯერსის თეორიის გაკვეული ცოდნა. |
| 1 ქულა | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტის აქვს საკითხის ზედაპირული ცოდნა.<br>➡ აპლიკანტის პასუხი პირველ მითითებაზე ნაწილობრივ სწორია, მაგრამ შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობებს<br>➡ არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>➡ აპლიკანტი არ უპასუხებს პირველ მითითებას<br>➡ მეორე მითითებაზე პასუხად გვთავაზობს ზოგად მსჯელობას.<br>ან<br>➡ აპლიკანტის მსჯელობა სწორია, მაგრამ არ ჩანს როჯერსის თეორიის ცოდნა. აპლიკანტი მსჯელობს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. არ იყენებს როჯერსისეულ ტერმინოლოგიას. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.<br>➡ დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>ან<br>➡ აპლიკანტის პასუხი წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს. |

## დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

## დავალება №41–45

*მაქსიმალური ქულა – 5*

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 1 ქულა | ➡ 41-ე და 42-ე დავალებებზე პასუხი თითო-თითო ქულით ფასდება იმ შემთხვევაში თუ მონიშნულია პასუხი „მცდარია“ და შესაბამის გრაფაში მოცემულია არგუმენტირებული/კორექტული პასუხი – მცდარი მსჯელობა ჩაწერილია სწორი ფორმით. კერძოდ:<br><br>დავალება 41:<br>- *კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელს უფლება აქვს 6 წელიწადში ერთხელ მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.*<br>*ან*<br>- *კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.*<br>*ან*<br>- *კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელს უფლება აქვს 8 წელი თუ არ უსარგებლია, მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება.*<br>*ან*<br>- *კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით.*<br><br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 21, პუნქტი 1 გ.*<br><br>დავალება 42:<br>- *პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ პარალელურ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 18. გამონაკლისი მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.*<br><br>** პასუხი სწორად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ აპლიკანტი არ მსჯელობს გამონაკლისის თაობაზე, ასეთ დროს საკმარისია მხოლოდ განაყოფებში მოსწავლეების რაოდენობის მითითება.*<br><br>*წყარო: ესგ, მუხლი 4, პუნქტი 3.* |

| | |
|---|---|
| | ➡ დავალებებზე **43, 44 და 45 თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მონიშნულია პასუხი **„ჭეშმარიტია“**. ეს დავალებები კომენტარს არ საჭიროებს.<br><br>**დავალება 43**<br>*წყარო: ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 32, პუნქტი 1:*<br>*„დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით. ასევე დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ მიიღოს სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები და სხვებს უარი უთხრას მიღებაზე. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ამ გეგმის მე-14 მუხლით განსაზღვრული სკოლებისათვის“.*<br><br>**დავალება 44**<br>*წყარო: ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 10, პუნქტი 7:*<br>*„ერთი სკოლის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა პარალელში უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.“*<br><br>**დავალება 45**<br>*წყარო: ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 10, პუნქტი 2, 3და 10.*<br>*პუნქტი 2.„სახელმძღვანელოებს ირჩევენ მასწავლებლები/კათედრები (კათედრის არსებობის შემთხვევაში)“.*<br>*პუნქტი 3. „პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით კლასების/საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სახელმძღვანელოების ნუსხას“.*<br>*პუნქტი 10. „მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო, რომელსაც არ აქვს გრიფი მინიჭებული, მხოლოდ როგორც დამხმარე მასალა და არა როგორც ძირითადი სახელმძღვანელო“.* |
| 0 ქულა | იმ შემთხვევაში თუ:<br>➡ 41-ე და 42-ე დავალებებზე:<br>- პასუხი არასწორადაა მონიშნული: **„მცდარია“-ს ნაცვლად მონიშნულია „ჭეშმარიტია“.**<br>- სწორადაა მონიშნული პასუხი **„მცდარია“**, მაგრამ არ არის მითითებული კომენტარი.<br>- სწორადაა მონიშნული პასუხი **„მცდარია“**, მაგრამ თან ახლავს არასწორი კომენტარი.<br>➡ 43-ე, 44-ე და 45-ე დავალებებზე პასუხი არასწორადაა მონიშნული: **„ჭეშმარიტია“**-ს ნაცვლად მონიშნულია **„მცდარია”**. |

| შეფასების სქემა | |
|---|---|
| 1 ქულა | დავალებებზე **46, 47 და 49 თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მონიშნულია პასუხი **„ჭეშმარიტია“**. ეს დავალებები კომენტარს არ საჭიროებს.<br><br>დავალება 46<br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 10, პუნქტი 1:*<br>*„მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ“.*<br><br>დავალება 47<br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 17, პუნქტი 1:*<br>*„მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე“.*<br><br>დავალება 49<br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 19, პუნქტი 12²:*<br>*„მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას უნდა განისაზღვროს სასარგებლო საქმიანობის შესრულების ხანგრძლიობა მოსწავლის ასაკის მიხედვით: საბაზო საფეხურის მოსწავლისათვის დღეში 2 საათით“.* |
| | **48-ე** და **50-ე** დავალებებზე პასუხი თითო-თითო ქულით ფასდება იმ შემთხვევაში თუ მონიშნულია პასუხი **„მცდარია“** და შესაბამის გრაფაში მოცემულია არგუმენტირებული/კორექტული პასუხი – მცდარი მსჯელობა ჩაწერილია სწორი ფორმით. კერძოდ:<br><br>დავალება 48:<br>- *სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება აქვს სამეურვეო საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.* |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
ან

- *სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება აქვს სამეურვეო საბჭოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს.*

*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 37, პუნქტი $5^1$.*

დავალება 50:

- სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობა მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს მშობლის თანხმობით.

*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 19, პუნქტი $12^2$.*

ან

- დისციპლიუნური კომიტეტი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ ეცნობებინა მოსწავლის მშობლისთვის მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ.

*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 19, პუნქტი 6.*

ან

- მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს.

*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 19, პუნქტი 6.*
</td>
</tr>
<tr>
<td>0 ქულა</td>
<td>
იმ შემთხვევაში თუ:

- 46-ე, 47-ე და 49-ე დავალებებზე პასუხი არასწორადაა მონიშნული: **„ჭეშმარიტია“**-ს ნაცვლად მონიშნულია **„მცდარია”**.
- 48-ე და 50-ე დავალებებზე:
  - პასუხი არასწორადაა მონიშნული: **„მცდარია“**-ს ნაცვლად **მონიშნულია „ჭეშმარიტია“**.
  - სწორადაა მონიშნული პასუხი **„მცდარია“**, მაგრამ არ არის მითითებული კომენტარი.
  - სწორადაა მონიშნული პასუხი **„მცდარია“**, მაგრამ თან ახლავს არასწორი კომენტარი.
</td>
</tr>
</table>